პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ოთხშაბათი, 23 მარტი, 1949 წ. № 57 (8360). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

ხვნა-თესვის ტემპი უნდა გაძლიერდეს—მოწინავე (1-ლი გვერდი).
მოსკოვს ჩამოვიდა ალბანეთის მთავრობის დელეგაცია (1-ლი გვერდი).
მოსკოვის კომკავშირულ ორგანიზაციას გადაეცა წითელი დროშის ორდენი (1-ლი და მე-2 გვერდი).
ახალგაზრდობის მსოფლიო კვირეული (მე-2 გვერდი).
პ. რატიანი — მნიშვნელოვანი დოკუმენტები (მე-2 გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
გ. ქომეთიანი — მეცნიერების მუშაკები უფრო მჭიდროდ უნდა დაუახლოვდნენ წარმოებას (მე-2 გვერდი).
ვიბრძოლოთ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გადიდებისათვის! (მე-3 გვერდი).
თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

ხვნა-თესვის ტემპი უნდა გაძლიერდეს

კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობის მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები მაღალნაყოფიერად მუშაობენ ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სიუხვის შესაქმნელად, მრეწველობის ნედლეულით უზრუნველსაყოფად, აუცილებელი სახელმწიფო რეზერვების დასაგროვებლად. სოფლად გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება მიმდინარე წელს ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის.

საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებმა თავიანთ საბრძოლო პროგრამად მიიღეს პარტიის XIV ყრილობაზე ამხანაგ კ. ჩარკვიანის მიერ დასახული ამოცანა — გადიდდეს მარცვლეული კულტურების მოსავლიანობა იმ ვარაუდით, რომ უახლოეს 8-10 წლის მანძილზე რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება ძირითადად დაკმაყოფილებულ იქნას ადგილობრივი პურით.

საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსავლიანობის გადიდებისათვის ბრძოლაში. მთელ რიგ რაიონებში დაწყებულია მინდვრის სამუშაოები. გარდაბნის რაიონში ხვნის გეგმა უკვე შესრულებულია 110,1 პროცენტით. რესპუბლიკაში დათესილია პირველი რამდენიმე ათასი ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები. ყვარლის რაიონმა თავთავიანი მარცვლეულისა და მზესუმზირას თესვის გეგმები უკვე გადაჭარბებით შეასრულა. ამასთან შეიძლება ითქვას, რომ წელს კოლმეურნე გლეხობა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკები სამუშაოებს ასრულებენ უკეთესი ხარისხით, ვიდრე წინა წლებში. მაგრამ ხვნა-თესვა რესპუბლიკაში მასობრივად ჯერ კიდევ არაა გაჩაღებული. ყველგან როდი ითვალისწინებენ მიმდინარე წლის გაჭიანურებული ზამთრის შედეგებს. ხელსაყრელი ამინდის დადგომისთანავე საჭირო იყო მთელი ძალების, მთელი შესაძლებლობის გამოყენება მინდვრის სამუშაოთა გასაჩაღებლად, ამას კი ბევრგან ვერ ვხედავთ. ხვნა-თესვის ახლანდელი ტემპი ოდნავაც არ შეეფერება იმ ამოცანებს, რომლებიც წელს სოფლის მეურნეობის წინაშეა დასახული. მაგალითად, საგარეჯოს რაიონმა გეგმით გათვალისწინებული 5.800 ჰექტარიდან საგაზაფხულოდ მხოლოდ 68 ჰექტარი მოხნა, თესვა კი სრულებით არ დაუწყია. ზოგან ხვნა-თესვისათვის მზადებაც არაა დამთავრებული.

მტს-ებს წელს შარშანდელზე ბევრად მეტი სამუშაოს შესრულება აქვთ დაკისრებული, მაშასადამე ისინი უკეთესადაც უნდა იყვნენ გაზაფხულისათვის მომზადებული. ამავე დროს კი, მაგალითად, ოჩამჩირის მტს-ს ზოგიერთ კოლმეურნეობასთან ხელშეკრულება ჯერაც არ დაუდეია. კარგა ხანია ამოწურულია ტრაქტორების რემონტის ვადებიც, ხოლო ახალსოფლის მტს-ში შეუკეთებელია 3 ტრაქტორი. რემონტის გეგმა არ შეუსრულებიათ აგრეთვე ცხაკაიას მეორე, წალკის, ტამიშის, დიღმისა და შულავრის მტს-ებს. ზოგან დაუმთავრებელია მისაბმელი ინვენტარის რემონტიც.

მთელი რიგი მტს-ები შეუწყნარებლად აჭიანურებენ საწვავის მომარაგებას. გორის, შინდისის და თელავის მტს-ებს საწვავის ზიდვაც არ დაუწყიათ. საწვავის მომარაგებაში ჩამორჩნენ მარტყოფის, ბოგდანოვკის, წალკის, ქსუისის და იორის მტს-ებიც. ნუთუ ამ მტს-ების მუშაკები გაცხარებული საგაზაფხულო ხვნა-თესვის პერიოდში ფიქრობენ საწვავის ზიდვას?!.

წელს რესპუბლიკის მტს-ები ასობით ახალ ტრაქტორსა და მისაბმელ ინვენტარს მიიღებენ. საჭიროა ეს კარგად გაითვალისწინონ ადგილებზე და წინასწარ იზრუნონ კადრების მომზადებისათვის. მაგრამ ასე არ ხდება. კადრების მომზადების საქმეს უსულგულოდ მოეკიდნენ ბოლნისის, კაჭრეთის და ზოგიერთ სხვა მტს-თა ხელმძღვანელები.

ყველგან არც საკოლმეურნეო ინვენტარია მზად. მარტო ხაშურის რაიონში შეუკეთებელია 300-მდე გუთანი და 10 სათესი, თელავის რაიონში — 220 გუთანი, წულუკიძის რაიონში—120 სათესი, ცხაკაიას რაიონში—40.

თესლის მომზადებას აჭიანურებენ ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ადიგენის, ქარელის, დუშეთის, დმანისის, ქლუხორის, წალკის და სხვა რაიონების ბევრ კოლმეურნეობაში. აღნიშნული რაიონების კოლმეურნეობებს მიუღებელი აქვთ გადაცვლის წესით მათთვის მთავრობის მიერ გამოყოფილი 1.600-მდე ტონა თესლი. მეტიც — ჯიშთა განახლებისა და გაუმჯობესებისათვის დიდი ხანია 500 ტონა ჯიშიანი თესლია გამოყოფილი, მაგრამ ზოგან რატომღაც არც ამ თესლის მიღებისათვის იწუხებენ თავს. ასევე ჭიანურდება მრავალწლიანი ბალახის თესლის მომზადება.

მიმდინარე წლის გაჭიანურებული ზამთარი ჩვენს წინაშე აყენებს ამოცანას — ყველა რაიონის კოლმეურნეობასა და მტს-ში უახლოეს დღეებში დავამთავროთ ხვნა-თესვისათვის მზადების მთელი სამუშაო; ამასთან ამინდის გაუმჯობესებისთანავე მასობრივად გავაჩაღოთ ხვნა-თესვა. საჭიროა ვაწარმოოთ შერჩევითი ხვნა, სანამ მთელი ნაკვეთი მზად იქნებოდეს. მტკიცედ გვახსოვდეს, რომ თესვის გაჭიანურება ამცირებს მოსავლიანობას. უხვი მოსავლის მიღების მიზნით თესვის წინ ნიადაგის საუკეთესოდ მომზადება, თესვის ხარისხის დაცვა თვითეული კოლმეურნეობისა და მტს-ის გადაუდებელი ამოცანაა. სოფლის კომუნისტები სათავეში უნდა ჩაუდგნენ ბრძოლას ხვნა-თესვის დაჩქარების ყველა შესაძლებლობის მაქსიმალურად გამოყენებისათვის, აგროტექნიკური ვადების მტკიცედ დაცვისათვის.

პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოები ვალდებული არიან გააძლიერონ ხელმძღვანელობა და დახმარება კოლმეურნეობებისა და მტს-ებისადმი, დარაზმონ მთელი ძალები საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებით ჩასატარებლად, წელს უხვი სტალინური მოსავლის მისაღებად.

სსრ კავშირის დელეგაცია გაემგზავრა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიის მეორე ნაწილზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის III სესიის მეორე ნაწილზე, რომელიც ნიუ-იორკში იხსნება 5 აპრილს, დანიშნა სსრ კავშირის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის ხელმძღვანელი — ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე. დელეგაციის წევრები: ი. ა. მალიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, სსრ კავშირის წარმომადგენელი უშიშროების საბჭოში, გ. ნ. ზარუბინი, სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში, ა. ს. პანიუშკინი, სსრ კავშირის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ს. კ. ცარაპკინი, უშიშროების საბჭოში სსრ კავშირის წარმომადგენლის მოადგილე.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ა. ა. გრომიკო 22 მარტს მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაემგზავრა.

უკრაინის სსრ დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიის მეორე ნაწილზე

კიევი, 21 მარტი. (საკდესი). უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის III სესიის მეორე ნაწილზე, რომელიც 5 აპრილს იხსნება ნიუ-იორკში, დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის ხელმძღვანელი — ვ. ა. ტარასენკო, უშიშროების საბჭოში უკრაინის სსრ წარმომადგენლის მოადგილე. დელეგაციის წევრები: ს. პ. დემჩენკო, ა. ი. გალაგანი, ვ. პ. კოვალენკო.

ბელორუსიის სსრ დელეგაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესიის მეორე ნაწილზე

მინსკი, 22 მარტი. (საკდესი). ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის III სესიის მეორე ნაწილზე, რომელიც 5 აპრილს იხსნება ნიუ-იორკში, დანიშნა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის ხელმძღვანელი — კ. ვ. კისელიოვი, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი. დელეგაციის წევრები — ვ. პ. სმოლიარი, ა. ს. სტეპანენკო, ნ. მ. ხომუსკო.

22 მარტს ბელორუსიის სსრ დელეგაციის მეთაური კ. ვ. კისელიოვი მოსკოვიდან ნიუ-იორკს გაემგზავრა.

მოსკოვს ჩამოვიდა ალბანეთის მთავრობის დელეგაცია

21 მარტს მოსკოვს ჩამოვიდა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის გენერალ-პოლკოვნიკ ენვერ ხოჯას, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის სპირო კოლეკის, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის კოჩო თეოდოსის, ვაჭრობის მინისტრის მოადგილის ვასილ კატის, მრეწველობის მინისტრის მოადგილის ჯაფერ სპახიუს, საზოგადოებრივ სამუშაოთა მინისტრის მოადგილის შაზი დრაგოტის, გენერალური შტაბის უფროსის მოადგილის პოლკოვნიკ ნეჯიპ ბინჩანის შემადგენლობით.

ვნუკოვოს აეროდრომზე ჩამოსულთ შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე პ. ნ. კუმიკინი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. ვ. აბრამოვი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-ლეიტენანტი კ. რ. სინილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ბალკანეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოადგილე ქ. დ. ლევიჩკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე პ. ა. ბუშუევი.

ჩამოსულთ აგრეთვე შეხვდნენ ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მოსკოვის მისიის წევრები დესპანის ბ-ნ მ. პრიფტის მეთაურობით და მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

ამავე დროს მოსკოვს ჩამოვიდა სსრ კავშირის დესპანი ალბანეთში დ. ს. ჩუვახინი.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. (საკდესი).

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ბ-ნ ენვერ ხოჯას სიტყვა

მოსკოვს ჩამოსვლისას ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბ-ნმა ენვერ ხოჯამ აეროდრომზე მიკროფონის წინ წარმოთქვა შემდეგი სიტყვა:

„საბჭოთა კავშირის ძვირფასო მოქალაქენო!

მაქვს დიდი პატივი თქვენი სახელოვანი დედაქალაქიდან, რომელიც მსოფლიოს ყველა პროგრესულ ხალხთა გული და მნათობია, გადმოგცეთ სიყვარულისა და ერთგულების ის უაღრესად დიდი გრძნობები, რომლებითაც გამსჭვალულია ალბანელი ხალხი თქვენს მიმართ და თქვენი გენიალური ბელადის დიდი სტალინის მიმართ.

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ და ალბანელმა ხალხმა გამოგვგზავნეს ჩვენ, რათა უფრო მეტად განვამტკიცოთ ჩვენი ეკონომიური ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან, რომელიც გვეხმარებოდა და გვეხმარება, არაფერს არ იშურებს, რათა ჩვენმა ხალხმა შეძლოს თავისი ქვეყნისა და თავისი სახალხო მეურნეობის აღდგენა. დიდი და უანგარო იყო ეს დახმარება. ამ დახმარების მიუღებლად შეუძლებელი იქნებოდა ჩვენი მცირე ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესება, შეუძლებელი იქნებოდა სოციალიზმის საფუძვლების აგება ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი ხალხი სულით და გულით გიძღვნით მადლობას, იგი ყოველთვის მადლობელი იქნება თქვენი, საბჭოთა ხალხებისა, თქვენი მთავრობისა და დიდი სტალინისა. ჩვენი ხალხი ძალებს არ იშურებს, რომ ღირსი გახდეს იმ დიდი მხარდაჭერისა, რასაც თქვენ გვიწევთ. იგი წინ მიდის თქვენი სახელოვანი მაგალითის მიხედვით. გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ თქვენი გმირული ბრძოლით ძვირფასი თავისუფლება მოგვიტანეთ. თქვენი ეკონომიური დახმარებით დიდად გვეხმარებით ავაგოთ ბედნიერი ცხოვრება ჩვენი ხალხისათვის და ჩვენი სამშობლოს მომავალი თაობისათვის. სახელოვანი სტალინური პოლიტიკა მიმართულია მშვიდობის დაცვისაკენ. მას ჩვენი ხალხი და მსოფლიოს ყველა პროგრესული ხალხი მიჰყავს მოწინავე კაცობრიობისათვის ამ წმიდა საქმის სრული გამარჯვებისაკენ.

ჩვენ ვხედავთ, რომ იმპერიალისტები აკოწიწებენ აგრესიულ პაქტებს სოციალიზმის ბანაკის წინააღმდეგ, ამზადებენ ახალ ომს და თავიანთი სამარცხვინო ფსევდო-დემოკრატიის ნიღბით იარაღდებიან, ქმნიან სამხედრო ბიუჯეტებს, უკუაგდებენ საარსებო იმედებს მრეწველობის, ჯანმრთელობის დაცვის, საზოგადოებრივი მოწყობისა და საკუთარი ხალხების ცხოვრების უზრუნველყოფის დარგში. ჩვენ ვხედავთ, რომ იმპერიალისტები კვლავ აღორძინებენ ფაშიზმს და ამზადებენ მას ჩაგვრისა და დამონების თავიანთი დანაშაულებრივი და სამარცხვინო საქმისათვის.

ჩვენს მცირე ხალხს არ ეშინია იმპერიალისტებისა და მათი მსახურების მუქარისა, რომლებიც დაძრწიან ჩვენი საზღვრების გარშემო, იმიტომ, რომ მას სძულს ომი, უყვარს მშვიდობა და იბრძვის მისთვის. ჩვენი ხალხი დარწმუნებულია, რომ ომის გამჩაღებელთა ყველა ცდა სრული მარცხით დამთავრდება იმიტომ, რომ მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლას მეთაურობს სახელოვანი საბჭოთა კავშირი, რომელსაც ხელმძღვანელობს მთელი მოწინავე კაცობრიობის მხურვალედ და უსაზღვროდ საყვარელი ბელადი დიდი სტალინი.

დაე დღითიდღე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს ალბანელი ხალხის სიყვარული საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი, რაც ჩვენი ხალხის ყველაზე დიდი გამარჯვება, ალბანეთის ხალხის პატრიოტიზმის ფოლადისებური ურღვევი საფუძველია.

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს, მშვიდობის სახელოვან, ძლევამოსილ დამცველს მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს დიდ სტალინს, მოწინავე კაცობრიობის სახელოვან ბელადს, ჩვენი მცირე ხალხის შეუდარებელ მეგობარსა და კეთილისმსურველს!“.

საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში

ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის დამცველ კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა კონგრესში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვიდან გაემგზავრა საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: ა. ა. ფადეევი (დელეგაციის ხელმძღვანელი), სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ბიოქიმიკოსი ა. ი. ოპარინი, კომპოზიტორი დ. დ. შოსტაკოვიჩი, კინორეჟისორი ს. ა. გერასიმოვი, მწერალი პ. ა. პავლენკო, კინორეჟისორი მ. ე. ჭიაურელი და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი თანამშრომელი ი. დ. როჟანსკი.

(საკდესი).

არგენტინის სლავთა კონგრესზე დელეგაცია გაიგზავნა

სსრ კავშირის სლავურ კომიტეტს არგენტინის სლავური კავშირისაგან მოუვიდა მიწვევა — გაგზავნოს დელეგაცია არგენტინის მე-3 სლავთა კონგრესზე, რომელიც გაიხსნება ა. წ. 23 მარტს ბუენოს-აირესში.

სსრ კავშირის სლავური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო მიწვევა და გადაწყვიტა კონგრესში მონაწილეობის მისაღებად სტუმრებად გაგზავნოს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ა. ა. სურკოვი (დელეგაციის ხელმძღვანელი), პ. გ. ტიჩინა და მ. ტ. ლინკოვი.

(საკდესი),

ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი გამოიცა ყირგიზულ ენაზე

ფრუნზე, 19 მარტი. (საკდესი). ყირგიზეთის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა ყირგიზულ ენაზე თარგმნილი ვ. ი. ლენინის ნაწარმოებნი „ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან“ და „მოსალოდნელი კატასტროფა და როგორ ვებრძოლოთ მას“.

მოსკოვის კომკავშირულ ორგანიზაციას გადაეცა წითელი დროშის ორდენი

20 მარტს საკავშირო ალკკ მოსკოვის IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებული კონფერენციის საზეიმო სხდომაზე ქალაქ მოსკოვის კომკავშირულ ორგანიზაციას გადაეცა წითელი დროშის ორდენი.

სხდომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, ამ ღირსშესანიშნავ დღეს, კავშირების სახლის სვეტებიანი დარბაზი აივსო კონფერენციის დელეგატებით და სტუმრებით. გაისმის კომკავშირული სიმღერები, უკრავს ორკესტრი. მოსკოვის ჭაბუკებისა და ქალიშვილებისათვის დღეს დასამახსოვრებელი დღეა.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან კონფერენციის მონაწილენი პრეზიდიუმში ამხანაგების ნ. მ. შვერნიკის, გ. მ. პოპოვის, ი. ა. პარფენოვის, ს. ა. ყოლნინის, ნ. ა. მიხაილოვის, ბ. ნ. ჩერნოუსოვის, ს. მ. ბუდიონის, ა. თ. გორკინის, ხელმძღვანელი კომკავშირული მუშაკების გამოჩენას.

კონფერენციის საზეიმო სხდომა გახსნა საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გავრილოვმა.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს ამხ. ა. თ. გორკინს.

დელეგატებმა, ფეხზე მდგომებმა, მოისმინეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საკავშირო ალკკ დაარსების 30 წლისთავთან დაკავშირებით, დიდი სამამულო ომის წლებში გამოჩენილი გმირობისათვის, სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის საკავშირო ალკკ მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

დარბაზში დიდხანს არ წყდება ტაში. მქუხარე ოვაციით დელეგატები გამოხატავენ უსაზღვრო მადლობის, სიყვარულისა და ერთგულების გრძნობას პარტიის, მთავრობის, საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

მარშის ხმაში დარბაზში შემოაქვთ კომკავშირის მოსკოვის ორგანიზაციის დროშა. დროშას მოჰყვებიან დედაქალაქის ახალგაზრდობის საუკეთესო წარმომადგენლები—სტახანოველები, სწავლის ფრიადოსნები, საბჭოთა არმიის მეომრები, კომკავშირული მუშაკები.

დამსწრეთა ტაშში ამხ. ნ. მ. შვერნიკმა საკავშირო ალკკ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანს ამხ. კრასავჩენკოს გადასცა წითელი დროშის ორდენი. ამხ. კრასავჩენკო საბრძოლო ორდენს ამაგრებს მოსკოვის კომკავშირული ორგანიზაციის წითელ დროშაზე. დიდებულად ჟღერს საბჭოთა კავშირის ჰიმნი.

ტრიბუნაზეა საკავშირო ალკკ მოსკოვის კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კრასავჩენკო.

— ვიღებთ რა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ხელიდან წითელი დროშის ორდენს, — ამბობს ამხ. კრასავჩენკო, — და ვამაგრებთ რა ამ ორდენს კომკავშირის მოსკოვის ორგანიზაციის სახელოვან დროშაზე, ჩვენ ნახევარი მილიონი მოსკოველი კომკავშირელის სახელით, დედაქალაქის ყველა ჭაბუკისა და ქალიშვილის სახელით ვამბობთ — მადლობა ჩვენს დიდ დედასამშობლოს, ჩვენს მშობლიურ ბოლშევიკურ პარტიას!

დღეს, მთავრობის მაღალი ჯილდოს მიღებისას, ჩვენ პირობას ვიძლევით მთელი ძალები, მთელი ენერგია, ჩვენი ახალგაზრდა გულის მთელი მგზნებარება მოვახმაროთ ჩვენი საყვარელი სამშობლოს სამსახურს.

მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მოსკოვის ახალგაზრდობა ყველაფერს გააკეთებს, რომ კიდევ უფრო განამტკიცოს საბჭოთა ქვეყნის ძალა და ძლიერება. ჩვენ არ დავზოგავთ ძალებს იმისათვის, რომ ჩვენმა მშობლიურმა და საყვარელმა დედაქალაქმა მოსკოვმა უფრო მაღლა ააფრიალოს დიდი სტალინის ეპოქის დროშა.

უფრო მჭიდროდ დავირაზმავთ ჩვენს რიგებს სახელოვანი ბოლშევიკური პარტიის გარშემო და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ჩვენი მშობლიური ამხანაგ სტალინის ბრძნული და ძლევამოსილი წინამძღოლობით წავალთ წინ, კომუნიზმისაკენ!

თავისი სიტყვის დასასრულს ამხ. კრასავჩენკო დღეგრძელობას უსურვებს კომკავშირს, სახელოვან კომუნისტურ პარტიას ბოლშევიკებისას, საბჭოთა ახალგაზრდობის მეგობარსა და მამას ამხანაგ სტალინს.

ამხ. კრასავჩენკოს საბოლოო სიტყვები მქუხარე ტაშმა დაფარა. დელეგატები ხანგრძლივ ოვაციას მართავენ დიდი სტალინის პატივსაცემად.

პარტიისადმი, მთავრობისადმი და ამხანაგ სტალინისადმი მადლობის სიტყვებით მაღალი ჯილდოსათვის გამოვიდნენ: სტალინის სახელობის ავტოქარხნის წარჩინებული სტახანოველი ნიკოლოზ შჩერბაკოვი, მოსკოველი მოსწავლე რიტა როდნიკოვა, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტი ნიკოლოზ სმირნოვი, მოსკოვის გარნიზონის კომკავშირელ მეომართა წარმომადგენელი საბჭოთა კავშირის გმირი კაპიტანი ვაჟაკინი.

ვრცელი სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხ. ნ. მ. შვერნიკი, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

— ამხანაგებო, დღეს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის მოსკოვის საქალაქო ორგანიზაციას, — ამბობს ამხ. შვერნიკი,—გადაეცა მაღალი ჯილდო—წითელი დროშის ორდენი. სულით და გულით მოგილოცავთ ამ დამსახურებულ ჯილდოს. **(ტაში).**

სრულ რწმენას გამოვთქვამ, რომ მოსკოვის კომკავშირი, მოსკოვის ბოლშევიკების რევოლუციური ტრადიციების ერთგული, ჯილდოთი აღფრთოვანებული, უფრო აქტიურად იბრძოლებს ლენინ-სტალინის საქმისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის გამარჯვებისათვის. **(მქუხარე ტაში).**

ამხ. შვერნიკი აღნიშნავს, რომ მოსკოვის კომკავშირის საბრძოლო დროშაზე ახლა ორი ორდენია. პირველი ჯილდო — დიდი ლენინის ორდენი მან მიიღო 1935 წელს განსაკუთრებული დამსახურებისათვის მეტროპოლიტენის მშენებლობაზე. მაშინ მოსკოველ კომკავშირელთა თავდადებული მუშაობა მეტროპოლიტენის მშენებლობაზე დიდად შეაფასა ამხანაგმა სტალინმა. მეორე ჯილდოთი — წითელი დროშის ორდენით მოსკოვის კომკავშირი დაჯილდოებულია საკავშირო ალკკ 30 წლისთავთან დაკავშირებით, დიდი სამამულო ომის წლებში გამოჩენილი გმირობისათვის და სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობისათვის.

ამხ. შვერნიკი ლაპარაკობს მოსკოვის კომკავშირელთა და ახალგაზრდობის გმირობაზე, რაც მათ გამოიჩინეს ჩვენი დედაქალაქის დაცვისას. იგი აღნიშნავს, რომ მოსკოველ კომკავშირელთა — ზოია კოსმოდემიანსკაიას, ნატაშა კოვშოვას, ვიქტორ ტალალიხინის, მარიამ პოლივანოვას, ალექსანდრე სოხნოვსკისა და ბევრი სხვების სახელი, რომლებმაც უკვდავი გმირობა ჩაიდინეს, ყოველთვის იქნება მომავალი თაობებისათვის კეთილშობილების, გამბედაობის, მამაცობისა და ხალხის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების მაგალითი. დიდი სამამულო ომის წლებში მოსკოველმა კომკავშირელებმა არა ნაკლებ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ზურგში, როცა ფრონტის დაკვეთებზე მუშაობდნენ.

ომისშემდგომ პერიოდში, აღნიშნავს ამხ. შვერნიკი, მოსკოვის კომკავშირმა დედაქალაქის ახალგაზრდობა დარაზმა იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც ჩვენი ქვეყნის წინაშეა დასახული სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების სტალინური ხუთწლიანი გეგმით. ახალგაზრდობაში ფართოდ გაჩაღდა შეჯიბრება თვითეული მუშის მიერ თავისი წლიური დავალებისა და თავისი ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის. ამ ინიციატივამ უკვე მოგვცა დადებითი შედეგები. საკავშირო ალკკ 30 წლისთავისათვის მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის 300 ათასზე მეტმა ახალგაზრდა მუშამ ვადამდე შეასრულა ხუთწლედის მესამე გადამწყვეტი წლის დავალებები.

მოსკოველმა კომკავშირელებმა ბევრი ენერგია და ინიციატივა გამოიჩინეს მომჭირნეობისა და ზეგეგმითი დაგროვებისათვის გაჩაღებულ მოძრაობაში. 8 ათასზე მეტმა კომკავშირულმა ბრიგადამ შეძლო რამდენიმე ასეული მილიონი მანეთის დაზოგვა. დედაქალაქის კომკავშირელთა შორის გაიზარდნენ წარმოების ისეთი შესანიშნავი ნოვატორები, როგორიცაა მცირელიტრაჟიანი მანქანების ქარხნის სტახანოველი ანა კუზნეცოვა, რომელმაც ინიციატივა გამოიჩინა 1950 წლის ნორმების ათვისებაში, ვალენტინა ხრისანოვა, რომელმაც ელექტროლამპის ქარხანაში თავისი ბრიგადის მუშაობა მოაწყო გრაფიკით, ვლადიმერ უტკინი, რომელმაც იკისრა იბრძოლოს სახელმწიფო სახსრების მომჭირნეობისათვის, და მრავალი სხვა.

— მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, — ამბობს ამხ. შვერნიკი,—დიდი მუშაობა გასწიეს. მაგრამ ამას არ შეიძლება დავჯერდეთ. კომკავშირი უფრო აქტიურად უნდა დაეხმაროს პარტიას ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში.

კომკავშირის უპირველესი ამოცანაა — აღზარდოს ახალგაზრდობა ლენინ-სტალინის იდეების სულისკვეთებით, შეაიარაღოს იგი მეცნიერებისა და ტექნიკის ცოდნით, მოამზადოს კადრების რეზერვები მრეწველობისათვის, სოფლის მეურნეობისათვის, კულტურისათვის. ახალგაზრდობის აღზრდა უნდა ხდებოდეს ლენინ-სტალინის ნაშრომების ღრმა შესწავლის საფუძველზე, ამასთან არ უნდა დავივიწყოთ ამხანაგ სტალინის მითითება პრაქტიკული მუ-

(დასასრული მე-2 გვერდზე)

მოსკოვის კომკავშირულ ორგანიზაციას გადაეცა წითელი დროშის ორდენი

(დასასრული)

შრომისა და რევოლუციური თეორიის შეხამების შესახებ.

შემდეგ ამხ. შვერნიკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსკოველებმა ამხანაგ სტალინს მისცეს საბჭოთა პატრიოტების სიტყვა — სამნახევარ წელიწადში შეასრულონ ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო წარმოების დონის მიხედვით, უზრუნველყონ სოფლის მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, განახორციელონ მემინდვრეობისა და მეცხოველეობის კომპლექსური მექანიზაცია, კოლმეურნეობათა მთლიანი ელექტროფიკაცია. ამ ვალდებულებათა შესრულებისას დედაქალაქის კომკავშირელებს უსაზღვრო შესაძლებლობა ეძლევათ შემოქმედებითი ინიციატივის, გამჭრიახობის გამოსაჩენად, რითაც ასე მდიდარია ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობა.

დედაქალაქის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასახულია აგრეთვე დიდი ამოცანა, აღნიშნავს ამხ. შვერნიკი, მონაწილეობა მიიღონ მოსკოვის რეკონსტრუქციის ახალი გენერალური გეგმის შემუშავებაში, რომელიც ასახავს სახალხო მეურნეობის მძლავრი აღმავლობის, მეცნიერების გიგანტური განვითარების, საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურის აყვავების სტალინურ ეპოქას.

შემდეგ ამხ. შვერნიკი ხაზგასმით აღნიშნავს კომკავშირის რიგების გაფართოების ამოცანას, როგორც კომკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს საქმეს.

— ეჭვი არ მეპარება,—ამბობს ამხ. შვერნიკი,—რომ მოსკოვის კომკავშირი, რომელსაც დედაქალაქის ბოლშევიკების ორგანიზაცია ხელმძღვანელობს, წარმატებით გაართმევს თავს იმ ამოცანებს, რაც ჩვენს ქვეყანას დაუსახეს ბოლშევიკურმა პარტიამ, ჩვენმა ბელადმა და მასწავლებელმა ამხანაგმა სტალინმა, რომელიც განუწყვეტლივ ზრუნავს კომკავშირისათვის, ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდობისათვის. (**მქუხარე ტაში**).

* * *

კონფერენციის მონაწილეებმა განსაკუთრებული აღფრთოვანებითა და ენთუზიაზმით მიიღეს მისალმება საბჭოთა ხალხის დიდი ბელადის ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

თავმჯდომარე დახურულად აცხადებს საკავშირო ალკკ მოსკოვის IX საოლქო და VIII საქალაქო გაერთიანებულ კონფერენციას.

სვეტებიან დარბაზში გუგუნებს პარტიული ჰიმნი „ინტერნაციონალი“. (საქდესი).

ახალგაზრდობის მსოფლიო კვირეული

საუბარი საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ამხ. ბოგატირიოვთან

21 მარტს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში დაიწყო ტრადიციული „ახალგაზრდობის მსოფლიო კვირეული“.

ყოველწლიურად, 1943 წლიდან, გაზაფხულზე დემოკრატიული ახალგაზრდობა აწყობს მეგობრობისა და სოლიდარობის, საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცების კვირეულს.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციამ წელს მოწოდებით მიმართა ჭაბუკებისა და ქალიშვილების მრავალმილიონიან მასებს — „კვირეული“ ჩაატარონ მტკიცე მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ახალგაზრდა თაობის საუკეთესო მომავლისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთიანობის განმტკიცების ლოზუნგით.

ახალგაზრდობის მსოფლიო კვირეული წელს მიმდინარეობს დემოკრატიული ახალგაზრდობის გაზრდილი აქტივობის პირობებში; დემოკრატიულ ახალგაზრდობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი — იბრძოლოს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ახალი ომის წინააღმდეგ, რასაც ამერიკელი იმპერიალისტები ცდილობენ გააჩაღონ.

დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია, რომელიც 64 ქვეყნის 50 მილიონზე მეტ ჭაბუკსა და ქალიშვილს აერთიანებს, შეუერთდა მიმართვას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს მოუწოდა მასში აქტიური მონაწილეობა მიიღონ.

ბევრ ქვეყანაში ახალგაზრდული დემოკრატიული ორგანიზაციები უკვე გამოეხმაურნენ ამ მოწოდებას. მთელ რიგ ქვეყნებში ჩაღდება კამპანია მშვიდობისათვის — ეწყობა მიტინგები და მანიფესტაციები, იღებენ რეზოლუციებს, რომლებიც მოითხოვენ ომის გამჩაღებელთა ალაგმვას.

იტალიაში ჭაბუკები და ქალიშვილები საპროტესტო დემონსტრაციებს აწყობენ ჩრდილო ატლანტიკის პაქტისადმი იტალიის მიმხრობის წინააღმდეგ. საფრანგეთში რესპუბლიკური ახალგაზრდობის კავშირმა სხვა დემოკრატიულ ორგანიზაციებთან ერთად ჭაბუკებსა და ქალიშვილებს მოუწოდა — მონაწილეობა მიიღონ მშვიდობის დასაცავ კამპანიაში, ჩრდილო ატლანტიკის პაქტისადმი საფრანგეთის მიმხრობის წინააღმდეგ. ინგლისში 20 ახალგაზრდული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ქარტიას, რომელშიც ფიცი დადეს იბრძოლონ ომის წინააღმდეგ მთელი მსოფლიოს ახალგაზრდობის ერთიანობისა და მეგობრობისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების დემოკრატიული ახალგაზრდობა გამოდის შეიარაღების შემცირებისა და ატომური იარაღის აკრძალვის სასარგებლოდ, სამხედრო ბეგარის კანონის წინააღმდეგ, დემოკრატიული საგარეო პოლიტიკისა და საბჭოთა კავშირთან მეგობრობისათვის. ახალგაზრდულმა ორგანიზაციებმა — „ამერიკის პროგრესული ახალგაზრდა მოქალაქენი“, „დემოკრატიის დამცველი ამერიკელი ახალგაზრდობა“ და სხვებმა ამერიკის დიდ ქალაქებში მოაწყეს საპროტესტო მიტინგები თავისი მთავრობის აგრესიული პოლიტიკის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობა, მშვიდობისა და თავისუფლების საქმის ერთგული, ყოველნაირად უჭერს მხარს მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის ბრძოლას, ყოველნაირად უჭერს მხარს დემოკრატიული ახალგაზრდობის ბრძოლას, რაც მიმართულია ახალგაზრდა თაობის ინტერესთა დაცვისაკენ, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ და ყოველნაირად აძლიერებს ურთიერთობასა და თანამშრომლობას მთელი დედამიწის დემოკრატიულ ახალგაზრდობასთან.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის ახალგაზრდობა აქტიურ მონაწილეობას იღებს დემოკრატიული ახალგაზრდობის ერთიანობის განმტკიცებაში და ყოველი ღონით ხელს უწყობს მტკიცე მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებას.

„ახალგაზრდობის მსოფლიო კვირეულის“ დღეებში საბჭოთა ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები მხურვალედ მიესალმებიან საზღვარგარეთელ მეგობრებს, რომლებიც თავისი ქვეყნების ხალხებთან ერთად იბრძვიან თავისუფლების, პროგრესისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

საბჭოთა ახალგაზრდობა საუკეთესო წარმატებას უსურვებს პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, ბულგარეთის, უნგრეთის, რუმინეთის, ალბანეთის ჭაბუკებსა და ქალიშვილებს ახალი დემოკრატიის მშენებლობაში, შრომასა და სწავლაში.

თავისუფალი და ბედნიერი საბჭოთა ახალგაზრდობა „ახალგაზრდობის მსოფლიო კვირეულის“ დღეებს აღნიშნავს უფრო ენერგიული მუშაობით თავისი საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა შეასუსტეს

— რომელი აგიტატორის მუშაობით ხართ კმაყოფილი? — ვკითხეთ გორის რაიონის სოფელ სათემოს კოლმეურნეობა „გლეხის ოჯახის“ თავმჯდომარეს ამხ. რ. ურიგაშვილს.

— სახალხო სასამართლოების არჩევნების ჩატარების შემდეგ ჩვენთან აგიტატორებმა მუშაობა შეწყვიტეს, — თქვა მან.

თავმჯდომარესთან საუბარში გამოირკვა, რომ საგიტაციო საუბრებს შემთხვევიდან შემთხვევამდე ატარებენ აგიტატორები თამარ, ნადია და სონა ფარეხელაშვილები, აგრეთვე მ. თენაძე და შ. გელაძე. ყველაზე მეტ უდარდელობას იჩენს აგიტატორი ა. ფარეხელაშვილი. უკანასკნელი თვენახევრის მანძილზე მან მემინდვრეობის მეორე ბრიგადაში მხოლოდ ორი საუბარი ჩაატარა.

სათემოს კოლმეურნეობის წევრთა შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობის ჩაშლა გამონაკლისი როდია. უკანასკნელ დროს მასობრივ-ახსნაგანმარტებითი მუშაობა საგრძნობლად შესუსტდა სოფელ ქვეშის, ციცაგიანთკარის, ქვემო არცევის, კარალეთის და დიდი გარეჯვრის კოლმეურნეობებში.

წელს კარალეთის კოლმეურნეობამ საგაზაფხულო კულტურები უნდა დათესოს 546 ჰექტარზე, საგაზაფხულოდ უნდა მოხნას 340 ჰექტარი. ეს და სხვა მრავალი სახის სამუშაო შეიძლება შესრულებულ იქნას კოლმეურნეობის ოცივე საწარმოო ბრიგადის შეწყობილი მუშაობით. ცხადია, უხვი მოსავლისათვის წარმატებითი ბრძოლა შეუძლებელია კოლმეურნეთა შორის საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გაუშლელად. მაგრამ ამას სრულებით არ ითვალისწინებს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. არ. შაყულაშვილი. აი მასთან საუბრის მოკლე ჩანაწერი:

— რამდენი აგიტატორი გყავთ?

— კარგად არ ვიცი, მგონი 15-მდეა.

— გვაჩვენეთ მათი სია.

— არა მაქვს.

— მაინც როგორ მუშაობენ ისინი?

— არ შემიმოწმებია, არ ვიცი.

— ჩვენი აგიტატორები ამ ბოლო დროს სუსტად მუშაობენ. მე ყოველდღიურად დავდივარ ბრიგადებში, მაგრამ იქ ერთი აგიტატორიც არ მინახავს, — ჩაერია საუბარში კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ნ. ვაზაგაშვილი.

შემოწმებამ გამოარკვია, რომ მეხილეობის ორ და მევენახეობის ერთ ბრიგადაში, რომლებშიც 115 კოლმეურნეა, აგიტატორები არ გამოუყვიათ. საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პოპულარიზაციას არასაკმაოდ ეწევიან აგიტატორები თ. ხრილოკიაშვილი, მ. გოგიაშვილი, გ. თედლიაშვილი და ე. გოგიაშვილი. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. შაყულაშვილი რატომღაც დარწმუნებულია, თითქოს კარალეთში არ არიან ისეთი ამხანაგები, რომლებიც აგიტატორებად გამოდგებიან. მაგრამ ეს მართალი არ არის. აგიტატორის მოვალეობის შესრულება შეუძლიათ საკოლმეურნეო წისქვილში აღმრიცხველად მომუშავე კომუნისტს დ. ადუაშვილს, ბუხჰალტრის მოადგილეს კომუნისტს ვ. ბერაშვილს, აგროტექნიკოსებს შ. თედლიაშვილს და ექ. ბაზანდარაშვილს. საკითხავია, რატომ არ მიანდობენ მათ აგიტატორობას?

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდას არ შედგომია სოფელ დიდი გარეჯვრის კოლმეურნეობის პარტორგანიზაცია. პარტორგანიზაციის მდივანი ამხ. ლ. ჩუხრუკიძე ვერ ამჩნევს, რომ კოლმეურნეობის ხუთივე ბრიგადაში სისტემატურად აღარ ატარებენ საუბრებს აგიტატორები ქ. ყანჩაველი, ვ. მრულიშვილი, ნ. ჩუხრუკიძე და მ. ასანიძე.

საკოლმეურნეო პირველადი პარტორგანიზაციების უყურადღებობის შედეგად აგიტაცია შეასუსტეს აგიტატორებმა: ვ. კუჭუხიძემ და ნ. ფსიტიძემ (სოფელი ქვემო არცევი), გ. ბოლოთაშვილმა და ნ. ციცაგმა (სოფელი ციცაგიანთკარი), ე. ქონიაშვილმა, ი. ბურდულმა, ო. ქურდაძემ, გ. ნატრიაშვილმა და ა. ნავროზაშვილმა (სოფელი ქვეში).

რატომ შეწყვიტეს მუშაობა აგიტატორებმა საგაზაფხულო სამუშაოთა ამ გაჩაღებულ პერიოდში ზემოთაღნიშნულ კოლმეურნეობებში? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელი არ არის, თუ გავითვალისწინებთ, რომ დასახელებულ პირველადს პარტორგანიზაციებს სრულიად არასაკმაოდ ეხმარება საქართველოს კ. პ. (ბ) გორის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება.

ს. ყურაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

იწყება შაორჰესის მშენებლობა

უკვე გაჩაღდა მოსამზადებელი სამუშაოები შაორის ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად. განახლდა გვირაბის მიწის სამუშაოები და დაიწყო საბეტონო სამუშაოთა შესრულება.

შაორჰესი მაღალი წნევის ჰიდროელექტროსადგური იქნება. ამის შესაძლებლობას იძლევა მშენებლობის ადგილის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. შაორი მდინარეა ნაქერალის ქედის ჩრდილო დაფენებაზე. იგი შაორის ველზე მდინარებისას „იკარგება“, მიწის სიღრმეში ჩადის და რამდენიმე კილომეტრის შემდეგ ხელახლა ამოდის მიწის ზედაპირზე. ახლა გამონახულია ის ადგილი, სადაც შესაძლებელია მდინარეს გადაეკეტოს მიწის სიღრმეში ჩასასვლელი და მისი მდინარება სხვა მიმართულებით შეიცვალოს. ჩაკეტილი მდინარის წყალი დაგროვდება ვეებერთელა წყალსაცავში, რომლის ფართობი მრავალ კვადრატულ კილომეტრს გადააჭარბებს და მრავალი ათეული კუბური მეტრის მოცულობის წყლის მარაგს დაიტევს.

შაორჰესს ექნება 4 ტურბინი. მშენებლობა განხორციელდება ორ რიგად. პირველ რიგში ამუშავდება 2 ტურბინი.

ველზე წარმოქმნილი ხელოვნური წყალსაცავი უზრუნველყოფს სადგურისათვის წლის განმავლობაში წყლის ნორმალურად მიწოდებას და სადგურის ერთდაიმავე სიმძლავრით მუშაობას.

მეცნიერების მუშაკები უფრო მჭიდროდ უნდა დაუახლოვდნენ წარმოებას

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XIV ყრილობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა განსაკუთრებით დიდი ადგილი დაუთმო მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების — ქვანახშირის, ენერგეტიკული, მარგანეცის, ნავთის, საშენი მასალების მრეწველობის შემდგომი განვითარების საკითხებს, მშენებლობის ტემპის დაჩქარების, საწარმოო კულტურის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, რენტაბელური მუშაობის დანერგვის ამოცანებს.

ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები მოწოდებული არიან დახმარება გაუწიონ სოციალისტური მრეწველობის მუშაკებს ამ პასუხსაგები ამოცანების შესრულებაში.

წარმოებაში მრავალი პრაქტიკული ხასიათის საკითხია, რომელთა ადგილობრივ გადაწყვეტა ძნელია. ამ საკითხების უფრო სწრაფად და ადვილად გადაჭრა შესაძლებელი იქნება, თუ გამოვიყენებთ ჩვენი ტექნიკური მეცნიერების საუკეთესო ძალებს. ამიტომ საჭიროა ჩვენი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის თემატიკა გადაისინჯოს სახალხო მეურნეობაში, კერძოდ ჩვენს მრეწველობაში წამოჭრილი კონკრეტული ამოცანების შესაბამისად.

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამეცნიერო-ტექნიკურმა კოლექტივმა უკვე გადადგა ნაბიჯები იმისათვის, რომ გარდაქმნას მუშაობა სოციალისტური მრეწველობის მოთხოვნილებათა შესაბამისად, ახლოს მივიდეს წარმოებასთან, გაეცნოს მის სადღეისო საჭიროებებს, შეუდგეს იმ საკითხთა შესწავლას, რომლებიც წარმოებაში „ვიწრო ადგილებს“ ქმნიან, და ამით ერთი მხრივ საჭირო დახმარება აღმოუჩინოს წარმოებებს, მეორე მხრივ ბოლო მოუღოს კარჩაკეტილობას სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაში.

ინსტიტუტში მომუშავე მეცნიერ-მუშაკები, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები, პროფესორები — გ. წულუკიძე, ა. დიდებულიძე, რ. აგლაძე, წევრი-კორესპონდენტები — გედევანიშვილი, მუხაძე, პროფესორები — ღვალი, ერისთავი, თავხელიძე, თავაძე, დისამიძე და სხვები დაკავშირებული არიან ფაბრიკებთან და ქარხნებთან, აქტიურად მონაწილეობენ საწარმოთა ცხოვრებაში. ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები საწარმოებში კითხულობენ ლექციებს, აწყობენ კონსულტაციებს, საწარმოთა მეთაურებისათვის კითხულობენ მოხსენებებს სპეციალურ საკითხებზე და ა. შ.

პროფესორმა გ. წულუკიძემ დაამუშავა მაღაროებში გადასატანი საყრდენი ხის ბიგების გამოყენების საკითხი, მაშინ, როცა აქამდე ამ მიზნისათვის ხმარობდნენ ძვირფასიან ფოლადის ბიგებს. მრავალმა ცდამ გვიჩვენა ამ ბიგების ეფექტურობა; მაგალითად, ჭიათურაში შესაძლო ხდება მათი საშუალებით სამაგრი ხე-ტყის ხარჯვის განახევრება. პროფესორ გ. წულუკიძის ეს ძვირფასი წინადადება ფართო მასშტაბით ხორციელდება ჭიათურის მაღაროებში. ეს სახელმწიფოს მისცემს ყოველწლიურად, რამოდენიმე მილიონი მანეთის ეკონომიას. ასევე მრავალი სასარგებლო ღონისძიება გამოიმუშავეს ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის სხვადასხვა კათედრებმა ქვანახშირის შახტებსა და საერთოდ სამთამადნო მრეწველობის საწარმოთა მუშაობის რეჟიმის გასაუმჯობესებლად.

საყურადღებო გამოკვლევა მოახდინა პროფესორმა ღვალმა მთიან რაიონებში მუხლუხოვანი ტრაქტორის გამოყენების შესახებ. პროფესორმა კახიანმა დაამუშავა რამდენიმე წინადადება ლითონის სწრაფი ჭრის საკითხზე, პროფესორმა მუხაძემ მოახდინა სხვადასხვა ნაგებობათა მშენებლობის გაადვილების გაანგარიშება, ხოლო პროფესორმა თავხელიძემ დაამუშავა ავეჯის წარმოების ავტომატიზაციის საკითხი. ასევე მნიშვნელოვანი კვლევითი სამუშაოები შეასრულეს სხვა მეცნიერმა მუშაკებმა. პროფესორმა ტერხაჩატუროვმა დაწერა შრომა მოხეტიალე ელექტროდენის სალიკვიდაციო ღონისძიებათა შესახებ, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ჰიდროტექნიკური კათედრის მუშაკებმა დოცენტ გ. ა. ჯიშელის ხელმძღვანელობით გამოიმუშავეს მთის მდინარეებზე ახალი ტიპის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა დაპროექტებისა და კონსტრუირების წესები. დოცენტმა ხიდაშელმა დაამუშავა ტყვარჩელისა და ტყიბულის მაღალხარისხოვანი ქვანახშირის ახალციხის მურა ქვანახშირით შეცვლის საკითხი, რაც სახელმწიფოს დიდ ეკონომიას მისცემს. პროფესორმა ერისთავმა და დოცენტმა ცისკარიშვილმა დაამთავრეს გამოკვლევები ტყიბულის შახტებში ჰიდრავლიკური ვსებისათვის სავსები მასალის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა დასადგენად.

ამრიგად, უკვე გაწეული მუშაობის შედეგად პოლიტექნიკური ინსტიტუტის მუშაკებმა სამშობლოს მრავალი ასი ათასი მანეთის ეკონომია მისცეს. მაგრამ ამით დაკმაყოფილება არ შეიძლება.

ჩვენი მიზანია კარგად მოვაწყოთ სამეცნიერო-საკვლევი კაბინეტები და ლაბორატორიები, მრეწველობის მიერ დაყენებული საკითხების შესწავლისა და გადაწყვეტისათვის მუშაობაში ჩავაბათ არა მარტო ინსტიტუტის მეცნიერული ძალები, არამედ საწარმოთა მოწინავე სპეციალისტები, პრაქტიკოსი მუშები, სახელმოხვეჭილი სტახანოველები. უდავოა, რომ საწარმოთა მუშები და მეთაურები, რომლებიც მუშაობაში კარგ უნარს იჩენენ, დიდ დახმარებას გაუწევენ ჩვენს მეცნიერულ ძალებს ამა თუ იმ საკითხის შესწავლის და გადაწყვეტისას.

საჭიროა გადაჭრით მოვუღოთ ბოლო მეცნიერ-მუშაკებისა და კათედრების კარჩაკეტილობას, უფრო მეტად დავუახლოვდეთ წარმოებას, ტექნოლოგიის გაუმჯობესების პრაქტიკული საკითხები საფუძვლად დავუდოთ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას.

გ. ძომეთიანი

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დირექტორი

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

მნიშვნელოვანი დოკუმენტები

„საისტორიო მოამბე“, 3*)

ლენინ-სტალინის პარტია დაუნდობელ ბრძოლას აწარმოებს ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ, რომლის მიზანია ძირი გამოუთხაროს ხალხთა ეროვნულ სუვერენიტეტს, მოსპოს ეროვნული კულტურები, წაშალოს ყოველგვარი საზღვრები ერებს შორის და ამით მსოფლიო ბატონობის მოპოვება გაუადვილოს ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტ ყაჩაღებს. ბოლშევიკური პარტია გვასწავლის ჩვენი სამშობლოსადმი, ჩვენი ეროვნული კულტურისადმი სიყვარულს, მისი წარსულისა და აწმყოს ღირსეულად დაფასებას.

საქართველოს ბოლშევიკების ნაცადმა ხელმძღვანელმა ამხანაგმა კანდიდ ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) XIV ყრილობაზე დიდი შეფასება მისცა გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსების ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის მიერ გაწეულ მუშაობას საქართველოს ისტორიის მარქსისტული სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის შესაქმნელად. „ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში,—თქვა ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა,—ამხ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის შესაქმნელად, რომელმაც საქართველოს ისტორია უნდა მოიცვას XIX საუკუნის დამდეგიდან ჩვენს დრომდე. მარქსისტული ნაშრომის შექმნა, რომელიც აშუქებს ქართველი ხალხის ცხოვრებასა და ბრძოლას მისი ისტორიის ამ მეტად პასუხსაგებ პერიოდში, მეტად მნიშვნელოვანი მეცნიერული და პოლიტიკური ამოცანაა“.

აქედან აშკარაა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს XIX საუკუნის ისტორიული დოკუმენტების გამოქვეყნებასა და შესწავლას, რომლებშიც ასახულია უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი მოვლენები, ან ნაჩვენებია ამ ეპოქის მოწინავე ადამიანთა ბრძოლა და მოღვაწეობა.

სარეცენზიო წიგნში თავმოყრილია საინტერესო დოკუმენტები, რომლებსაც ცხოველი ინტერესით გადაიკითხავენ არა მარტო ჩვენი ისტორიის მკვლევარები-სპეციალისტები, არამედ მკითხველთა ფართო მასებიც. წიგნი სამი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი დოკუმენტები (რიცხვით 37) ასახავენ თბილისის ამქართა 1865 წლის ამბოხების ისტორიას; მეორე განყოფილებაში მოცემულია დოკუმენტალური მასალები ილია ჭავჭავაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე (99 დოკუმენტი), ხოლო მესამეში—მასალები დიმიტრი ყიფიანის მკვლელობაზე (152 დოკუმენტი).

* * *

თბილისის ამქართა 1865 წლის ამბოხება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოს XIX საუკუნის ისტორიაში. ისტორიულ ლიტერატურაში ამ საკითხის შესწავლა ჯერ კიდევ არ შეიძლება დამთავრებულად ჩაითვალოს, მაგრამ უკვე არსებული გამოკვლევებიც გვაძლევენ საშუალებას წარმოვიდგინოთ ამქართა ამ გამოსვლის ხასიათი და მასშტაბები.

გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ხანა უდიდესი მნიშვნელობის პერიოდია ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ეს პერიოდი ხასიათდება უაღრესად რთული სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით, უმნიშვნელოვანესი ეკონომიური პროცესებით, კლასებს შორის ძალთა ახალი დაჯგუფებით. ვორონცოვის მოქნილმა პოლიტიკამ ამ დროისათვის უკვე გამოიღო თავისი შედეგი: ქართველი თავად-აზნაურობის ძირითადი ნაწილი შეუთანხმდა ცარიზმს და მეფის კოლონიური პოლიტიკის აქტიური გამტარებელი შეიქნა. ქართველი გლეხობის ორმაგი ჩაგვრის უღელი კიდევ უფრო მძიმე გახდა. საქართველოს შედარებით სწრაფმა ეკონომიურმა განვითარებამ დაანგრია საუკუნეობრივი კარჩაკეტილობის საზღვრები და დააგვირგვინა ქართველი ხალხის ერად ჩამოყალიბების ხანგრძლივი ისტორიული პროცესი. გლეხობამ არ მოიხარა ქედი ცარიზმისა და მისი დამქაშების—რეაქციული ქართველი თავად-აზნაურობის წინაშე და მაღლა აღმართა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დროშა... საქართველოში განმათავისუფლებელი მოძრაობის ძლიერმა ქარმა დაჰქროლა!

თბილისის ამქართა 1865 წლის ამბოხება სწორედ ამ ისტორიული პროცესის —ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთ რგოლად უნდა იქნეს მიჩნეული. სარეცენზიო წიგნში წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა დაგვარწმუნებს, რომ ე. წ. „ამქართა ჯანყი“, რომლის პოლიტიკურ მნიშვნელობას მეფის მთავრობა შეგნებულად უარყოფდა, თბილისის ღარიბი მოსახლეობის (და არა მარტო ამქართა!) უაღრესად ფართო პოლიტიკური გამოსვლა იყო. ცარიზმის კოლონიური პოლიტიკითა და მეფის მხარეზე გადასული მსხვილი ბურჟუაზიის დაწოლით შეწუხებულმა ქალაქის წვრილმა ბურჟუაზიამ 1865 წელს თავისი ხმა პროტესტისა და აღშფოთებისა გლეხობის ხმას შეუერთა და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა დიად ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

სწორედ ამაშია თბილისის ამქართა ამბოხების დიდი ისტორიული მნიშვნელობა.

პროფესორი ლ. მელიქსეთ-ბეგი მოკლე წერილში, რომლითაც „საისტორიო მოამბის“ პირველი განყოფილება იხსნება, ეხება სხვადასხვა ავტორთა მოსაზრებებს ამქართა გამოსვლის მნიშვნელობის შესახებ და შემდეგ სწორ დასკვნამდე მიდის: სარეცენზიო წიგნში გამოქვეყნებული დოკუმენტები „ახალ შუქს ჰფენს საკითხს და იძლევა შესაძლებლობას მისი უფრო სწორად და სრულად შესწავლისათვის“. (გვ. 6).

* * *

წიგნის მეორე განყოფილებაში წარმოდგენილ დოკუმენტებს წამძღვარებული აქვს ა. იოვიძის საკმაოდ ვრცელი განმარტებითი წერილი.

გამოქვეყნებული დოკუმენტალური მასალები აზუსტებენ ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობის მთელ რიგ საინტერესო მომენტებს და საშუალებას გვაძლევენ უფრო ღრმად, უფრო სრულად შევისწავლოთ ქართველი ხალხის ამ გენიალური მწერლისა და მოაზროვნის ცხოვრება და მოღვაწეობა.

განსაკუთრებით საინტერესოა ის დოკუმენტები, რომლებიც შეეხება ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობას 80-90-იან წლებში. კერძოდ, საინტერესოა ი. ჭავჭავაძეზე მეფის პოლიციის მეთვალყურეობის ამსახველი საბუთები, აგრეთვე საბუთები, რომლებიც დაკავშირებულია სახელმწიფო საბჭოში ილიას საქმიანობასთან და სხვ. ამ დოკუმენტების ყურადღებით შესწავლა, ეჭვს გარეშეა, საბოლოოდ გაფანტავს ქართული ლიტერატურის ზოგიერთ მკვლევართა შორის ჯერ კიდევ გავრცელებულ შემცდარ აზრს, თითქოს 80-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძეს ეღალატნოს თავისი პირვანდელი შეხედულებებისათვის და გადახრილიყოს მარჯვნივ, მეფისა და მემამულეების რეაქციისაკენ. პირიქით, ეს დოკუმენტები მოწმობენ, რომ ი. ჭავჭავაძე სიკვდილამდე დარჩა თავისი 60-იანი წლების იდეების ერთგული და, მაშასადამე, მშრომელი ხალხის ინტერესების ერთგულიც. (სხვა საკითხია, რომ მას ამ პერიოდში სწორად არ ესმოდა მშრომელთა ინტერესები. ცხოვრება წინ წავიდა და ილიას პოლიტიკური კონცეფცია აღარ შეეფერებოდა ახალ ისტორიულ ვითარებას).

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო იმ დოკუმენტთა სტრიქონები, რომლებშიც მეფის საიდუმლო პოლიციის აგენტები უდიდესი გულმოდგინებით აღრიცხავენ ი. ჭავჭავაძის ყოველ ნაბიჯს, მის ყოველ ფეხის გადადგმას. აი სანიმუშოდ ერთი მაგალითი. 1885 წლის 3 აპრილს თბილისის პოლიცმეისტერი თბილისის გუბერნატორს უგზავნის საიდუმლო პატაკს, რომელშიც ვკითხულობთ:

«Состоящий под строгим негласным надзором полиции кн. Илья Григорьевич Чавчавадзе выехал 29-го прошлого марта из г. Тифлиса в г. Кутаис.

Донося об этом вашему превосходительству, имею честь доложить, что о выезде из Тифлиса кн. Чавчавадзе мною вместе с сим послано уведомление начальнику Тифлисского губернского жандармского Управления и Кутаисскому полицмейстеру» (стр. 214).

პოლიციის მოხელეები საგანგებო პატაკებს სწერენ მაშინაც კი, როცა ილია თბილისიდან თავის სახლში საგურამოში მიემგზავრება.

«Имею честь донести вашему превосх-ству, что состоящий под негласным надзором полиции кн. Чавчавадзе выехал в свое имение селение Сагурамо, Душетского уезда, на несколько дней».

პოლიცმეისტერის ამ პატაკს გუბერნატორისადმი 1885 წლის ივნისის თარიღი აქვს, ხოლო იმავე წლის ივლისში იწერება ახალი პატაკი, სადაც გუბერნატორს ატყობინებენ, რომ ილია ჭავჭავაძე საგურამოდან თბილისს დაბრუნდა.

ასე, უკვე 80-იანი წლებიდან მეფის საიდუმლო პოლიცია კვალდაკვალ დასდევდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვან ბელადს და შესაფერ მომენტს უცდიდა, რათა მისთვის სიცოცხლე მოესპო. ცარიზმს არ ეშლებოდა თავისი მტრების გამოცნობა!

უაღრესად საყურადღებოა ილია ჭავჭავაძის გამოსვლა სახელმწიფო საბჭოს პირველ სხდომაზე, 1906 წლის 22 ივნისს. ამ გაბედულ გამოსვლაში ჩვენმა სახელოვანმა მწერალმა მკაცრი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა სახელმწიფო საბჭოს შინაგანაწესის პროექტი. სხდომაზე, სადაც ცარიზმის ყველაზე რეაქციული ბურჯები ისხდნენ, ი. ჭავჭავაძემ განაცხადა:

«Это немного напоминает ненавистное начало узко-бюрократического режима, который полагает, что не правительственные лица и учреждения существуют для народа, а народ —для этих учреждений» (стр. 271).

განა ცხადი არ არის, რომ მხოლოდ სრულიად უცოდინარ ადამიანებს შეუძლიათ ილაპარაკონ ი. ჭავჭავაძის რაიმე გადახრაზე მეფისა და მემამულეების რეაქციისაკენ.

* * *

დიმიტრი ყიფიანი თავისი დროის თვალსაჩინო პიროვნება იყო და მან მცირე როლი როდი შეასრულა საქართველოს XIX საუკუნის ისტორიაში. მკვლევართა მისწრაფება—ყოველმხრივ შეისწავლონ ამ გამოჩენილი ადამიანის ცხოვრება და მოღვაწეობა სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს.

ქართულ საისტორიო და მემუარულ ლიტერატურაში დ. ყიფიანზე საკმაოდ ბევრი მასალა მოიპოვება (საკმარისია აღინიშნოს პროფესორ სიმ. ხუნდაძის ვრცელი მონოგრაფია „დიმიტრი ყიფიანი“, რომელშიც ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია დასმული და გადაწყვეტილი); მაგრამ, მიუხედავად ამისა, დ. ყიფიანის მოღვაწეობა, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება XIX საუკუნის უმნიშვნელოვანეს ისტორიულ მოვლენებს, ჯერ კიდევ საჭიროებს გაღრმავებულ შესწავლასა და სათანადო შეფასებას.

პროფესორ შ. ჩხეტიას ამ მიმართულებით სერიოზული მუშაობა გაუწევია. ამას მოწმობს როგორც მის მიერ შეკრებილი და სარეცენზიო წიგნში გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი დოკუმენტები, ისე იქვე წარმოდგენილი მისი წერილი, რომელშიც გულდასმით და მასალის კარგი ცოდნით არის განხილული დ. ყიფიანის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი. უთუოდ მისალმების ღირსია ავტორის განზრახვა უახლოეს ხანში მიაწოდოს მკითხველს სპეციალური ნაშრომი, რომელშიც „დ. ყიფიანის ცხოვრება-მოღვაწეობა შესაძლებელი სისრულით იქნება განხილული“ (გვ. 328).

ამასთან დაკავშირებით, საჭიროდ მივაჩნია ავტორის ყურადღება მივაქციოთ ერთ რამ. აფასებს რა დ. ყიფიანის დამსახურებას ქართული კულტურის განვითარების საქმეში, აგრეთვე მის ბრძოლას ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ, პროფესორი შ. ჩხეტია ნაკლებ ყურადღებას უთმობს დ. ყიფიანის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებების არსის გამოკვლევას. ამის გამო დ. ყიფიანის პატრიოტიზმის სოციალური შინაარსი გამოურკვეველი და დაუსაბუთებელი რჩება. XIX საუკუნის საქართველოში სოციალური და ეროვნული მოტივები ისე მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ისე გადახლართულ-გადანასკვულია ერთმანეთში, რომ მათი ურთიერთ მოწყვეტა და ცალცალკე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განხილვა უთუოდ შეცდომებამდე მიგვიყვანს.

დიმიტრი ყიფიანი პატრიოტია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მისი პატრიოტიზმი (ისევე, როგორც, სიტყვაზე, გრ. ორბელიანის პატრიოტიზმი) თავისი შინაარსით სრულიადაც არ არის ისეთი, როგორიც აკაკი წერეთლისა და ილია ჭავჭავაძის პატრიოტიზმია. როცა ამ გარემოებას კარგად გავითვალისწინებთ, მაშინ ცარიზმის წინააღმდეგ დ. ყიფიანის ბრძოლის შეფასებაც რამდენადმე სხვაგვარად წარმოგვიდგება, ვიდრე ეს პროფესორ შ. ჩხეტიას წერილიდან გამომდინარეობს.

აი რა დასკვნას აკეთებს ავტორი:

„ასე დაამთავრა დ. ყიფიანმა თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა. ის დამარცხდა და დაეცა იმ ბრძოლაში, რომელიც მიმართული იყო თვითმპყრობელობის შავი რეაქციის წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში დ. ყიფიანმა ობიექტურად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა: ის წლების განმავლობაში იმ მოწინავე მებრძოლთა პირველ რიგებში იდგა, რომელნიც ქართული სკოლის, ქართული ენისა და ქართული კულტურის დასაცავად მედგრად იგერიებდნენ თვითმპყრობელობის იერიშებს. ამდენად დ. ყიფიანის თავდადებული ბრძოლა ქართველობის დასაცავად უეჭველად მომავლის საქმეს, ქვეყნის საკეთილდღეო საქმეს ემსახურებოდა: ობიექტურად ეს ბრძოლა ძირს უთხრიდა თვითმპყრობელობას, უკეთესი მომავლის იდეებს უნერგავდა საზოგადოებას, ხელს უწყობდა საზოგადოების პოლიტიკურ გამოფხიზლებას და გათვითცნობიერებას, აღრმავებდა უფსკრულს ცარიზმსა და ხალხს შორის“ (გვ. 358).

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს ცალმხრივი და, მაშასადამე, არასწორი დასკვნაა. საჭიროა გარკვევით და ხაზგასმით ითქვას, რომ დ. ყიფიანის „ქართველობა“ და „ქართველობის დასაცავად“ ბრძოლა სულ სხვა შინაარსს ატარებს, ვიდრე იმათი, ვინც მართლა „მოწინავე მებრძოლთა პირველ რიგებში იდგნენ“.

დ. ყიფიანი თავისი წოდების (კლასის) უაღრესად ტიპიური წარმომადგენელია. ამიტომ საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, გამოირკვეულ იქნას მისი კლასობრივი პოზიცია და დაზუსტდეს მისი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება სწორად იქნას გაგებული და შეფასებული მის მიერ ქართული კულტურის დასაცავად გაწეული მუშაობა.

ვ. რატიანი

---

*) საქართველოს სსრ შსს საარქივო სამმართველოს გამოცემა, 1947 წ., გვ. 539, რედაქტორი მ. გაბრიჩიძე.

ვიბრძოლოთ ჩაის პლანტაციების მოსავლიანობის გაღიდებისათვის!

დაპარაკობენ ზუგდიდის რაიონის მოწინავე მეჩაიეები

არ ვეძებოთ ილდეებით მიღწეულით

კოლმეურნეთა თავდადებული მუშაობით, შრომის სწორი ორგანიზაციით, სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით, აგრონომიული მეცნიერების მიღწევათა გამოყენებით ჩვენ ყოველწლიურად ვზრდით ჩაის პლანტაციების მოსავლიანობას. ჩაის პლანტაციებს ჩვენს კოლმეურნეობაში 51 ჰექტარი მიწა უჭირავს. მოსავლიანობის გეგმა შარშან თითქმის ორმაგად შეავსრულეთ, სამუალოდ ჰექტარზე 5.059 კილოგრამი ჩაი მივიღეთ, ზოგიერთ ნაკვეთზე კი ბევრად მეტი.

წელს გადიდებული ვალდებულებანი ვიკისრეთ: სამუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 6.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ზოგიერთმა ბრიგადამ კი უფრო დიდი ვალდებულება აიღო. მაგალითად, მესამე ბრიგადა პირობას იძლევა, რომ ყოველი ჰექტარის მოსავლიანობას 8.000 კილოგრამამდე აიყვანს.

შარშან კოლმეურნეობამ 12 ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაცია გაამენა, წელს კი—15 ჰექტარს გავაშენებთ. 5 კილომეტრზე მოავწყობთ ქარსაფარ ზოლს, ხოლო 4 ჰექტარ პლანტაციას ცოცხალი ღობე გაუკეთდება. ბრიგადები და რგოლები დიდი ხანია შევსებული და დაკომპლექტებულია. ისინი ახლა ძალღონის დაუზოგავად იბრძვიან ჩაის სამეშაოთა დროულად შესრულებისათვის. მთავრდება პლანტაციებში ფოსფორიანი სასუქის შეტანა და ბარვა.

აგრონომიული ცოდნით კოლმეურნეთა შეიარაღებისათვის განუწყვეტლივ მუშაობს აგრონომენკური წრე, რომელსაც აგრონომი ე. ხვიჩია ხელმძღვანელობს. წელს კურსებზე გადავამზადეთ ბრიგადირები და მერგოლეები, რომელთაც შევასწავლეთ როგორც პლანტაციების მოვლა, ისე შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვა.

სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ სამეშაოთა წინასწარ დაგეგმვას, თვითეული კოლმეურნისათვის მისი უსარისა და გამოცდილების მიხედვით ნაკვეთების მიჩენას, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას. ამ ღონისძიებათა შედეგად ჩაის სამეშაოები წარმატებით სრულდება.

ჩვენი კოლმეურნეობა ზრუნავს არა მარტო ამ წლის, არამედ მომავალი წლის ამოცანებისათვისაც, როცა ჩაის მოსავლიანობა ყოველ ჰექტარზე 8.500 კილოგრამამდე უნდა ავიყვანოთ.

თავდადებული შრომით ჩვენი კოლმეურნეები წელს უფრო გაზრდიან ჩაის პლანტაციების მოსავლიანობას და აამაღლებენ თავიანთი შეძლებული და კულტურული ცხოვრების დონეს.

კ. შეროზია

ახალსოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდას" თავმჯდომარე

ვანვითარებთ სანერგე მეურნეობას

ჩაის ახალი პლანტაციების მოსავლიანობის გასაღიდებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ქარსაფარი ზოლების მოწყობას. ეს კარგად გაითვალისწინა ჩვენმა კოლმეურნეობამ, სადაც ხუთწლედის ბოლოსათვის ჩაის პლანტაციების ახლანდელი ფართობი ორჯერ და უფრო მეტად უნდა გადიდდეს და მიაღწიოს 200 ჰექტარს. ქარსაფარი ზოლის მოწყობისათვის წიწვიან მცენარეთა ნერგს მისაღებად კოლმეურნეობა აშენებს სპეციალურ ორანჟერეას, რაზეც 120 ათასი მანეთი დაიხარჯება.

ორანჟერეაში წელსვე დაითესება 115 კილოგრამი კეთაროსის, კედრის და სხვა წიწვიან მცენარეთა თესლი, რაც ნახევარ მილიონ ძირზე მეტ ნერგს მოგვცემს. აქედან ნაწილი მეზობელ კოლმეურნეობებს მიეცემა. გარდა ამისა კოლმეურნეობას დათესილი აქვს და წელს გამოჰყავს 200 ათასი ძირი ეკალიპტის ნერგი. წელსვე გამოვიყვანთ 200 ათას ძირ ვამლის, მსხლის, ატმისა და ბროწეულის ნერგს და დავამყნიბთ 300 ათას ძირ ვაზს.

კოლმეურნეობა ფართოდ ავიათვრებს სანერგე მეურნეობას.

ა. ყურაშვილი

ახალსოფლის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სანერგის გამგე

შარშან ზუგდიდის რაიონში ჩაის პლანტაციების საერთო რაოდენობამ 5.072 ჰექტარს მიაღწია, ხოლო მოსავლიანობამ 5.730 ტონას გადააჭარბა. ჩაის ფოთლის კრეფა-დამზადება გეგმა შესრულებულია 117,8 პროცენტით.

ჩაის პლანტაციების გაფართოებისა და მოსავლიანობის გადიდებასთან ერთად გაიზარდა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალიც. ომის წინა 1940 წელს რაიონში ჩაის ფოთლისაგან შემოსავალი 12 მილიონ მანეთს უდრიდა, 1947 წლისა და შარშანდელი შემოსავალი ბევრად მეტია.

ამჟამად ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეები თავდადებით შრომობენ ჩაის მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის გადაწყვეტილებისა და ამხანაგ კ. ჩარკვიანის მითითებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის. მიმდინარეობს პლანტაციების ბარვა, ნიადაგში სასუქის შეტანა, არხების მომზადება და სხვ. მეჩაიე კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები გულმოდგინედ სწავლობენ მოწინავეთა მდიდარ გამოცდილებას, რომ კიდევ უფრო გაბედონ ჩაის მოსავლიანობა.

ქვემოთ ვბეჭდავთ ზუგდიდის რაიონის მოწინავე მეჩაიეთა წერილებს, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორ გაკაფეს მათ გზა ჩაის ფოთლის უხვი მოსავლის მიღებისათვის და რას გააკეთებენ მომავალში ახალ დავალებათა წარმატებით შესასრულებლად.

აღვზარდე 25 სტახანოველი მეჩაიე

20 წელზე მეტია, რაც ჩაის პლანტაციას ვუვლი. გამოცდილებამ დამარწმუნა, რომ თუ სანიმუშოდ დავამუშავებთ პლანტაციებს, განუწყვეტლივ ვიზრუნებთ ჩაის თვითეული ბუჩქის კარგად განვითარებისათვის, არ მოვაკლებთ მას საზრდო მასალას, წყალს, ფოსფორს და წესიერად დავამუშავებთ ნიადაგს, მოსავალიც სულ მეტი და მეტი შეიძლება მივიღოთ.

ჩაის პლანტაციაში სასუქის მარტო შეტანა არ-კმარა. საჭიროა ვიზრუნოთ, რათა ნიადაგში შეტანილი საზრდო ნივთიერება გამოუყენებელი არ დარჩეს, რომ იგი მცენარეთა ყოველთვის საკმაოდ ღებულდეს, დუყბისა და ფოთლის განვითარებას ხელი დებოდეს.

ჩემთვის მიჩენილ 0,8 ჰექტარ პლანტაციაში სრულებით არაა მომცდარი ადგილი. თვითეული ბუჩქი კარგად განვითარებული და ძლევარია, ამასთანავე ზრდის ისეთი თვისებისაა, რომ შეუძლია უხვად მოგვცეს დუყბი. ჩემი აზრით, ინდივიდუალური მიდგომა ყოველი ბუჩქისადმი, სისტემატური ზრუნვა მისი ზრდა-განვითარებისათვის მთავარი და გადამწყვეტი მოსავლიანობის გასაღიდებლად. შარშან ჩემთვის მიჩენილი პლანტაციაში 20.049 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი შოგრიფე.

შარშან ჩვენში დიდი გვალვა იყო, მაგრამ იგი ჩვენს პლანტაციებს არ დაზარალებია. ამას იმით მივაწერეთ, რომ მიწა ყოველთვის კარგად დამუშავებული და ფხვიერი გვქონდა, არ ხდებოდა წყლის ზედმეტად აორთქლება, ბუჩქებზე არ იყო უსარგებლო ტოტები და ფოთლები, გამოუყენებელი ან დაავადებული ნაწილები, ამასთანავე ჩაის ფოთოლს ვკრეფდი ყოველდღიურად, განუწყვეტლივ, ყველა დადგენილი წესის დაცვით.

ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარე წლის სეზონისათვის მზადება დიდი ხანია დავიწყე. ზამთრის ყველა სამუშაო შესრულებული მაქვს. როგორც რგოლისათვის, ისე ჩემთვის მიჩენილი ნაკვეთი სათანადოდ არის მოვლილი. იმ პლანტაციაში, რომელსაც პირადად ვუვლი, 25 სანტიმეტრ სიღრმეზე შებარვისას შევიტანე ორი ტონა ფოსფორიანი და ერთი ტონა კალიუმიანი სასუქი. ამ დღეებში დამატებით მიწას 25 ტონა ნაკელი მოვაყარე. არხებიც დიდი ხანია გაწმენდილია. ბუჩქების გასხვლას გამოდარების თანავე დავიწყებ. აპრილის პირველ რიცხვებში ბუჩქების ძირებში აზოტოვან სასუქს შევიტან — 500-600 კილოგრამს. აზოტოვან სასუქს ნაკელი დოზებით სამჯერ შემდეგაც შევიტან. წლის მანძილზე პლანტაციას სულ მცირე 4-ჯერ მაინც გავთოხნი.

მე ვეყავი საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის დელეგატი. დიდი ყურადღებით მოვისმინე ამხანაგ კ. ჩარკვიანის მოხსენება, რომელშიც დასახულია საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობის ამოცანები. ყრილობის დელეგატებმა დიდ სტალინს პირობა მივეცით გავადიდოთ ჩაის ფართობი და მოსავლიანობა. ამ ვალდებულების შესასრულებლად ვკისრულობ იმ ნაკვეთზე, რომელიც მაბარია, წელს ჰექტარზე გადაანგარიშებით 25 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოვკრიფო, გეგმას დიდად გადავაჭარბო რგოლისათვის მიჩენილ პლანტაციაშიც და დავეხმარო სხვა კოლმეურნეებსაც უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში.

დღემდე ჩემი მუშაობის გამოცდილების გაზიარებით გამოზრდილი მყავს 25 მეჩაიე, მათ შორის 9 მოწინავეს მოპოვებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის სამატო წოდება.

არ დავიშურებ მთელ ჩემს ენერგიას, ძალას და გამოცდილებას ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, სამშობლოს უფრო მეტი რაოდენობით მივცემ ჩაის ფოთოლს.

ძსენია სარსანია

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი, სოფელ ინგირის კოლმეურნეობის მერგოლური

პლანგაციების მორწყვა მნიშვნელოვანი საქმეა

ჩვენი საბჭოთა მეურნეობა წლების მანძილზე სისტემატურად წარმატებით ასრულებს გეგმებს. შარშან მეურნეობამ სახელმწიფოს მისცა 2.218.000 მანეთი დაგრეგვა, რაც გეგმით გათვალისწინებულზე ოთხჯერ მეტია.

წელს საბჭოთა მეურნეობას უფრო სერიოზული ამოცანები აქვს დაკისრებული. ამისათვის მთავარ ყურადღებას ვაქცევთ მეურნეობაში მოწინავეთა მუშაობის გამოცდილების ფართოდ დანერგვას. წელს განსაკუთრებით გამახვილებული გვაქვს ყურადღება საბჭოთა ვადებისა და ხარისხის დაცვისადმი, სასუქების უკეთ გამოყენებისადმი, მორწყვისათვის მომზადებისადმი და სხვ. ძაღალმოსავლიან 35 ჰექტარზე წელს გადიდებული რაოდენობით იქნება შეტანილი ნაკელი, 100 ჰექტარზე კი — ტორფი. ვამთავრებთ მდინარე ინგირიდან წყლის გამოყვანას. სულ მოიარწყვება 200 ჰექტარზე მეტი ჩაის პლანტაცია. მეურნეობა თითქმის მთლიანად უზრუნველყოფილია წლის მანძილზე საჭირო მინერალური სასუქით. მთავრდება პლანტაციებში ფოსფორის შეტანა, ბარვა და სადრენაჟო არხების წესრიგზე მოყვანა. ვამზადებთ 550 კვალიფიციურ მუშას. პლანტაციების დაცვის მიზნით პლანტაციების ირგვლივ დამატებით გაგვყავს თხრილები და ვაკეთებთ ეკლიან ღობეს. მაგნებლების საწინააღმდეგოდ მომდინარე წლის პირველ კვარტალში 100 ჰექტარ პლანტაციას გაუკეთდება ფუმიგაცია. სხვლის პერიოდში ყველა პლანტაცია საფუძვლიანად იქნება გამოწმენდილი და გამოხშირული. წელს შარშანდელზე სამჯერ მეტი ფართობი ინდივიდუალური მოვლისათვის არის მიჩენილი. ამ ფართობების ყოველ ჰექტარზე გათვალისწინებულია 10.000-12.000 კილოგრამი და მეტი ჩაის ფოთლის მიღება.

ჩვენი მეურნეობის კოლექტივი წელს უფრო თავდადებით იბრძოლებს მის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის და სახელმწიფოს მისცემს ჩაის ფოთოლს გეგმაზე მეტი რაოდენობით.

ა. ცხადაია

ინგირის ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

განვავითაროთ ჩაის სამეშაოთა მექანიზაცია

ჩაის სამეშაოთა მექანიზაციას ჩვენი მტა-ი დიდ ყურადღებას აქცევს. შარშან ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად მტს-მ 146 ჰექტარზე მოამზადა პლანტაჟი, მწკრივთა შორის კულტივაციის სახით კი 100 ჰექტარი 5-ჯერ დაამუშავა. გარდა ამისა, მწკრივთა შორის ღრმად გაიფხვიერა 680 ჰექტარი ფართობი.

წელს მტს-ის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივის წინაშე დიდი ამოცანებია დასახული. ჩვენ უფრო უნდა განვავითაროთ ჩაის სამეშაოთა მექანიზაცია, კარგად შეეასრულოთ სხვა დავალებანიც. დაკისრებული ამოცანის წარმატებით შესრულებისათვის ტრაქტორი უკვე კარგა ხანია გასულია არიან მინდერად სამუშაოდ და დღემდე 550 ჰექტარზე მეტი მოხნეს. კარგად მუშაობს ჩაის სპეციალური ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ბ. არჩაია ხელმძღვანელობს და რომელმაც გასული წლის დავალება 125 პროცენტით შეასრულა. მტს-ს გადაწყვეტილი აქვს წელს ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად მოამზადოს 150 ჰექტარი პლანტაჟი და 2.000 ჰექტარზე ჩაატაროს კულტივაცია. მაგრამ ამ საქმეში დახმარებაც გვჭირდება. 24 ტრაქტორიდან განთავსებულ 5 ტრაქტორს აქვს. დანარჩენი ტრაქტორებისათვის საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა გამოგვიყოს დინამოები, რათა უზრუნველყოთ ორცალიანი მუშაობა, სატრაქტორო პარკის სრული დატვირთვით გამოყენება. მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ მტს-ს შეუძლია სამჯერ მეტი ჩაის პლანტაცია დამუშაოს, თუ მაღალ თვლებზე მოწყობილ 4-5 ტრაქტორს მაინც მოგვცემენ.

ჩაის სამეშაოებში მექანიზაციის გაფართოებლად არ დავიშურებთ ჩვენს ძალღონეს და წელს უფრო მეტ წარმატებებს მოვიპოვებთ, ვიდრე გასულ წლებში.

მ. დოჩია

ზუგდიდის მტს-ის დირექტორი, სოციალისტური შრომის გმირი

უხვ მოსავალს მოვლილი პლანგაცია იძლევა

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე ჩაის ფოთლის მოსავლიანობა ჩვენს კოლმეურნეობაში ერთისაგან გადიდდა. ეს იმითაც აიხსნება, რომ კოლმეურნეობა ხელს უწყობს ახალგაზრდა კოლმეურნეთა აღზრდას, ზრუნავს მოწინავე აგროტექნიკით მათი შეიარაღებისათვის.

რამდენიმე წელია სტახანოვურ მოსავალს ვიღებ.

წელს ჰექტარზე 15 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთლის მოყვანა ვიკისრე, რგოლმა კი ვალდებულება აიღო თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 12 ტონა ფოთოლი.

ამ დიდი ვალდებულების შესრულებისათვის მუშაობა შემოდგომიდანვე დავიწყეთ. დიდ ყურადღებას ვაქცევთ სამუშაოთა ვადებისა და ხარისხის დაცვას — ჩაის დაბარვას, სასუქის შეტანას, გასხვლას და სხვ. ბარვისას საჭირო რაოდენობით შევიტანეთ ფოსფორიანი სასუქი. დამატებით თვითეული ჰექტარისათვის მომზადებული გვაქვს 30 ტონა ნაკელი, რასაც აპრილში შევიტანთ. შარშან ტორფი სასუქად არ გამოგვიყენებია, წელს კი კოლმეურნეობაში 500 ტონაა მოტანილი, რითაც გავანაყოფერებთ ფართობს. 1948 წელს 2 ჰექტარზე წუწწუხი შევიტანეთ. გარდა ამისა, გამოვიყენეთ აზოტოვანი სასუქის ხსნარიც. აზოტოვანი სასუქის ხსნარით და წუწწუხით მორწყვა ხდებოდა მაისში, ივნისში, ივლისსა და აგვისტოში, ესე იგი ისეთ დროს, როცა ჩაის ბუჩქისათვის საკვებიც ბევრი იყო საჭირო და წყალიც. ამ წესით პლანტაციის გამოკვებას წელს მასობრივად ჩავატარებთ, ნიადაგსაც უკეთესად დამუშავებთ.

მოვლილი პლანტაცია მოსავალს უხვად მოგვცემს.

ნუცა ნანავა

სოფელ რუხის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

ზუგდიდის რაიონის ჩაის პლანტაციებზე. სურათზე: მარცხნივ — ინგირის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სტალინური პრემიის ლაურეატი ქსენია სარსანია, მარ ჯვნივ — ხეცერის საბჭოთა მეურნეობის მეჩაიე ბუცა კუტალია, შუაში — კოლმეურნეები მუშაობენ ჩაის პლანტაციაში.

თბილისის სახელმწიფო ისტორიული-ეთნოგრაფიული მუზეუმი

(25 წელი დაარსებიდან)

მიმდინარე წლის 24 მარტს სრულდება თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის დაარსების ოცდახუთი წლისთავი.

თავიანი არსებობის მანძილზე მუზეუმის მიერ გაწეულმა მუშაობამ, პარტიისა და ხელისუფლების მუდმივმა მზრუნველობამ ეს კულტურულ-საგანმანათლებელო კერა საქართველოს დედაქალაქის ისტორიულ ძეგლთა და ფასეულობათა შემცველი კოლექციების ძვირფას საგანძურად გადააქცია.

მუზეუმის მასალები და ექსპონატები ბეგიფიოდ ასახავენ თბილისის მრავალსაუკუნოვან ისტორიას, დიდი სტალინის თანამებრძოლის, ქართველი ხალხის სამამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიას და საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის ხელმძღვანელობით დედაქალაქის კომუნისტურ პარტიათვის გაწეულ მუშაობას, რის შედეგადაც ახალი თბილისი სსრ კავშირის მოწინავე ქალაქთა რიგში ჩადგა.

ამჟამად მუზეუმს აქვს 16.000-ზე მეტი ექსპონატი, რომლებიც ნათლად ასახავენ საქართველოს დედაქალაქის განვითარებას მისი დაარსებიდან დღემდე. ეთელი რიგი წლების მანძილზე მუზეუმის კოლექტივი სისტემატურად ეწეოდა სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას, რის შედეგადაც შედგენილია თბილისის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და სოციალისტური მშენებლობის ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილი მეცნიერული ნაშრომები. მათგან დღემდე გამოქვეყნებულია მუზეუმის დირექტორის ამხ. ნ. ბადრიაშვილის ნაშრომები: „თბილისი" ტ. I, „1905 წელი თბილისში", „საქართველოს სახანძრო დაცვის ისტორია", „თბილისის ბუნება", „ძველი თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები" და „თბილისი—საქართველოს დედაქალაქი".

მუზეუმში სათანადოდ დაცულია ლიტერატურაში უცნობი, თბილისის ისტორიოგრაფიის ძვირფასი არქივოგრაფიული მასალები ანი ნიბუქდი თაბახის რაოდენობით.

მუზეუმის მუშაკების მიერ შედგენილი თბილისის ქრონიკა გვიჩვენებს იმ ისტორიულ ადგილებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული დიდი სტალინის რევოლუციურ ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან, გვიჩვენებს თბილისის სოციალისტური მშენებლობის ეტაპებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან დღემდე.

თბილისის მატერიალური კულტურის ისტორიისა და რევოლუციური წარსულის შესწავლის დროს გადაღებული ფოტოსურათები და აზომილია ძველი თბილისის სამოქალაქო, სამხედრო და სხვა სახის ხუროთმოძღვრების ძეგლები, ამასთან გამოვლინებულია ახალი ობიექტები და ადგილები, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქის რევოლუციურ წარსულსა და დიდი სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან.

მუზეუმის მეცნიერი მუშაკები სხვადასხვა დროს აწყობდნენ კომპლექსურ ექსპედიციებს უფლისციხეში, ვარძიაში, გრეში, სამშვილდეში, თელავში, ქუთაისში, გორსა და ახალციხეში, რის შედეგად შეგროვებულია დასახელებული პუნქტების საბინაო ხუროთმოძღვრების დამახასიათებელი მნიშვნელოვანი მასალები.

მუზეუმი სისტემატურად აწყობდა თემატურ, მიზნობრივ და მოძრავ გამოფენებს როგორც მუზეუმის შენობაში, ისე ქალაქის მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში. მუზეუმის მეცნიერმა მუშაკებმა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მოთა რუსთაველის, ი. ჭავჭავაძის, ა. პუშკინის, ა. გრიბოედოვის, ნ. ბარათაშვილის, ალ. ყაზბეგის და სხვათა საიუბილეო გამოფენების მოწყობაში.

მუზეუმის მასალები გვიჩვენებენ თბილისს დიდი სამამულო ომის წლებში, ქართველ მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა ბრძოლები სოციალისტური სამშობლოს დასაცავად, განსაკუთრებით გვიჩვენებენ კაკაესის გმირულ დაცვას და ამ საქმეში ამხანაგ ლ. პ. ბერიას უდიდეს ღვაწლს.

სამამულო ომის წლებში მუზეუმმა მოაწყო გამოფენა თემაზე: „ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ". იმავე პერიოდში მოეწყო ანტიფაშისტური გამოფენა.

ამჟამად მუზეუმში მოწყობილია გამოფენა თემაზე: თბილისი ახალი სტალინური ხუთწლედის დასასრულისათვის, სადაც მოცემულია სანალმო მეურნეობის ყველა დარგში თბილისის ზრდის დოკუმენტები.

მუზეუმის მიერ მოწყობილი გამოფენები მარტო 1948 წლის მანძილზე დაათვალიერა 22.000-ზე მეტმა კაცმა.

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის აქტიური დახმარებითა და ხელმძღვანობით მომმე რეპუბლიკებში შეიქმნა ბაქოს, კიევისა და ერევნის საქალაქო მუზეუმები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი კოლექციები გადაეცა ვ. ი. ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალს, საქართველოს სსრ სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმსა და თეატრალურ მუზეუმს მათი ჩამოყალიბების დროს.

მუზეუმის მუშაკებმა მარტო 1948 წლის მანძილზე მოაწყეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სტაციონარული გამოფენები: ვეფა ფშაველას სახლ-მუზეუმში, ალ. ყაზბეგის სახლეობის ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში, ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში და ნაწილობრივ ვ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმში. ამჟამად დამზადებულია გამოფენის მასალები სოფელ ღორეშაში სერგო ორჯონიკიძის სახლ-მუზეუმის მოსაწყობად.

მუზეუმის მეცნიერ მუშაკთა კონსულტაციითა და მასალებით შესრულებულია კინოსურათის გადაღება და თეატრალური დადგმები: „პუშკინის მოგზაურობა არზრუმში", „ირანენა", „ძველი და ახალი თბილისი", „გიორგი სააკაძე", „მერანი", „ქეთო და კოტე" და სხვ.

მუზეუმის არსებობის 25 წლისთავთან დაკავშირებით მზადდება გამოფენა, რომელიც გვიჩვენებს თბილისის მრეწველობის მიღწევებს.

მუზეუმში ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა გამოფენისათვის თემაზე: „ი. ბ. სტალინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა თბილისში". ამ გამოფენის მოწყობა ნაკარაუდევია მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

გრ. ზაქარაია

აღექსანდრე ყაზბეგის უცნობი პიესები

თბილისის კონსერვატორიის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის უფროსმა მასწავლებელმა ნინო ხოშტარიამ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში (კავკასიის საცენზურო კომიტეტი — საქმე № 442 და № 443) აღმოაჩინა ალექსანდრე ყაზბეგის დღემდე უცნობი პიესები: 4-მოქმედებიანი დრამა „ცხოვრების თანამგზაური" და ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ყველაფერი ბედზედ არის".

ვოდევილის თავფურცელზე აწერია: **„Дозволено к представлению на сцене 9 апреля 1880 года. И. д. цензора Шаншиев. „ყველაფერი ბედზედ არის". ვოდ. 1 მოქ. აკა მოჩხუბარიძისა". ბოლო ფურცელზე აწერია: „Дозволено цензурою для представления на сцене 8 апреля 1880 года на 18 страницах. Шаншиев".**

ვოდევილი დაწერილია ცალხაზიანი რეუფლის ფურცლის ორივე გვერდზე; ძველი პაგინაციით შეიცავს 38 ფურცელს, ახალი პაგინაციით — 20-ს. თავფურცლის ორი გვერდი გატარებულია არქივის საალწერო წიგნში (კავკასიის საცენზურო კომიტეტის საქმე № 442, ფურცელი 1-20). იგი გადაწერილია სხვისი ხელით და ჩასწორებულია ავტორის მიერ.

ვოდევილი „ყველაფერი ბედზედ არის", როგორც ცენზორის ხელმოწერიდან ჩანს, ნებადართული ყოფილა სცენაზე წარმოსადგენად. ეს ნაწარმოები ყაზბეგის არც ადრინდელსა და არც შემდგომ გამოცემებში შეტანილი არ არის.

იმავე საცენზურო კომიტეტის საქმე № 443-ში ინახება 4-მოქმედებიანი დრამა „ცხოვრების თანამგზაური". პირველ გვერდზე მას აწერია: **„Разрешается к представлению на сценах 14 апреля 1880 г. Шаншиев".**

ეს ნაწარმოები ძველი პაგინაციით შეიცავს 100 გვერდს, ხოლო ახლით—51 გვერდს. თავფურცელი არა აქვს. გადაწერილია იმავე ხელით, რომლითაც ვოდევილი. მრავალ ადგილას შევსებული და გადასწორებულია ა. ყაზბეგის მიერ. ბოლო ფურცელზე ხელმოწერა ავტორისაა — „მოჩხუბარიძე". დრამა დასრულებულია და გატარებულია არქივის საალწერო წიგნში — (კავკასიის საცენზურო კომიტეტის ფონდი, საქმე № 443, ფურცელი 1-51). ეს ნაწარმოებიც ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა არც ერთ კრებულში შეტანილი არ არის.

ორივე ნაწარმოები შევა ა. ყაზბეგის თხზულებათა მესამე ტომში, რომელსაც წელს გამოსცემს „საბჭოთა მწერალი".

დიდი ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის დაბადების 90 წლისთავისათვის

სტალინირი. (ხაკ. კორ.). მომდინარე წლის ოქტომბერში სრულდება 90 წელი ოსური ლიტერატურული ენისა და ლიტერატურის ფუძემდებლის, დიდი ოსი პოეტის კოსტა ხეთაგუროვის დაბადებიდან.

სამხრეთ ოსეთში მომუშავე მხატვრები ემზადებიან ამ სახელოვანი თარგმანისათვის. მხატვარი კოტოევი ამზადებს სურათს „კოსტა — როგორც მხატვარი", ნ. ჩიბანოვი სურათს — „კოსტა და ყიფიანი", ვ. კოლოსოვი — „კოსტას სამშობლო ალანიარი", ა. ვინეევი — „კოსტა და ბავშვები", ვ. ცერაძე — „კოსტა გადასახლებაში", ა. ბასეევი — „კოსტა — სახალხო პოეტი".

კოსტა ხეთაგუროვის ნაწარმოებთა მხატვრულად გაფორმებაზე მუშაობენ ნ. კაბანოვი, ნ. დოგზოვი. მოქანდაკეები ვ. კვინტალიანი და ს. სანაკოევი მუშაობენ კოსტა ხეთაგუროვის ბიუსტზე.

გერმანიის სახალხო საბჭოს მეექვსე სესიამ მუშაობა დაამთავრა

ბერლინი, 19 მარტი. (საკდესი). გერმანიის სახალხო საბჭოს მეექვსე სესიის მუშაობის მეორე დღე მიეძღვნა მთელი გერმანიისათვის დემოკრატიული კონსტიტუციის პროექტის განხილვას. ხუთი თვის წინათ გერმანიის სახალხო საბჭომ მოიწონა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი, რომელიც საკონსტიტუციო კომისიამ შეიმუშავა გროტევოლის თავმჯდომარეობით, და იგი საყოველთაო სახალხო განსახილველად დასვა. გერმანიის სახალხო საბჭოს მეექვსე სესია იმისათვის შეიკრიბა, რომ შეეჯამებინა ამ საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგები, და გერმანიის მოსახლეობის ყველა ფენისაგან მიღებულ წინადადებათა საფუძველზე შესწორებანი შეეტანა კონსტიტუციის თავდაპირველ პროექტში.

მოხსენება „დემოკრატიული კონსტიტუცია მთელი გერმანიისათვის საოკუპაციო სტატუტის ნაცვლად“ გააკეთა ოტო გროტევოლმა. „უდიდესი კმაყოფილებით აღვნიშნავთ,—განაცხადა გროტევოლმა,—რომ გერმანელი ხალხის ისტორიაში პირველად მუშებმა, გლეხებმა, ქალებმა და ახალგაზრდობამ, ე. ი. სწორედ მოსახლეობის იმ ფენებმა, რომლებისთვისაც კონსტიტუციისა და უფლების საკითხები აკრძალული რამ იყო, ფართო მონაწილეობა მიიღეს კონსტიტუციის პროექტის განხილვაში და მრავალი წერილითა და რეზოლუციით გამოხატეს თავისი მოწონება და შეიტანეს შესწორებანი, რომლებმაც ხელი შეუწყეს პროექტის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას“.

გერმანელი ხალხის კონსტიტუციას,—თქვა გროტევოლმა,—ქმნის ამჟამად თვით ხალხი გერმანიის სახალხო კონგრესის ეროვნული მოძრაობის მსვლელობაში.

გროტევოლმა გერმანიის სახალხო საბჭოს წევრთა დასამტკიცებლად შეიტანა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის მეორე ვარიანტი, რომელიც ხუთი თვის წინათ მიღებული პირველი პროექტისაგან განსხვავდება 50-ზე მეტი შესწორებით, რომლებიც მასში შეტანილია საყოველთაო სახალხო განხილვის მსვლელობაში.

ოტო გროტევოლის მოხსენების გამო გაცხოველებული კამათი გაჩაღდა. გამოვიდა 15-ზე მეტი ორატორი. სხვადასხვა პარტიისა და დემოკრატიული ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ერთსულოვნად მოიწონეს დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის კონსტიტუციის პროექტი. ამ პროექტით,—როგორც ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, — გამოხატულია ძირითადი ინტერესები გერმანელი ხალხისა, რომელიც იბრძვის თვითგამორკვევის უფლებისათვის, ერთიანი დემოკრატიული გერმანიის რესპუბლიკისათვის.

მეექვსე სესიის გადაწყვეტილებაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

„გერმანიის სახალხო საბჭოს მეხუთე სესიაზე მიღებულმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტმა მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა და იგი ფართოდ განიხილა მოსახლეობის ყველა ფენამ. გერმანელმა ხალხმა თავისი აზრი გამოთქვა კრებებსა და მიტინგებზე, პრესისა და რადიოს საშუალებით, აგრეთვე გერმანიის სახალხო საბჭოს სამდივნოში შემოსული წერილებით, რომლებითაც იწონებდნენ კონსტიტუციას და შეჰქონდათ მასში ცვლილებანი და დამატებანი. სულ მიღებული იყო 15 ათასამდე რეზოლუცია პარტიულ ორგანიზაციებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში, ჩატარებული იყო 9 ათასზე მეტი კრება გერმანიის ყველა კუთხეში და შემოტანილი იყო 500-ზე მეტი წინადადება პროექტის ცვლილების შესახებ. საკონსტიტუციო კომისიამ განიხილა ეს შესწორებანი და მათ საფუძველზე შეიმუშავა კონსტიტუციის პროექტის მეორე ვარიანტი.

გერმანიის მომავალი დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის განხილვა ახალი გადამწყვეტი ეტაპი გახდა ჩვენი ხალხის ბრძოლაში თავისი სახელმწიფო დამოუკიდებლობისათვის და ხელი შეუწყო მისი დემოკრატიული შეგნების განმტკიცების საქმეს. დასავლეთ მაოკუპირებელი სახელმწიფოების მისწრაფება — ბონის „საპარლამენტო საბჭოს“ დახმარებით შექმნან დასავლეთ გერმანიის სეპარატული სახელმწიფო, სულ უფრო ცხადი ხდება. ეს არის უპასუხისმგებლო და საშიში თამაში გერმანელი ხალხის ბედით.

დასავლეთი ზონების სამხედრო გუბერნატორთა ამა წლის 2 მარტის მემორანდუმი პრაქტიკულად გამორიცხავს გერმანიის რაიმე სახელმწიფო ხელისუფლებას და გერმანიის სახელმწიფოსა და გერმანელი მოსახლეობის ნაწილს დასავლეთი სახელმწიფოების პოლიტიკური თამაშის ობიექტად აქცევს.

ამიტომ გერმანიის დემოკრატიული საზოგადოებრიობის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა — „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია“ საფუძვლად დაუდოს მთელი გერმანელი ხალხის ბრძოლას მისი დემოკრატიული უფლებებისათვის, ერთიანი თავისუფალი გერმანიის რესპუბლიკისათვის.

გერმანიის სახალხო საბჭო „გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციას“ დასამტკიცებლად გადასცემს გერმანიის მესამე სახალხო კონგრესს“.

ეს გადაწყვეტილება გერმანიის სახალხო საბჭოს წევრებმა ერთხმად მიიღეს.

შემდეგ გერმანიის სახალხო საბჭოს მეექვსე სესიამ მიიღო საპროტესტო რეზოლუცია იმ აქტების წინააღმდეგ, რომლებიც შეურაცხყოფენ გერმანელი ხალხის ეროვნულ გრძნობებს და რომლებსაც დასავლეთ ბერლინის საოკუპაციო ხელისუფალნი ახორციელებენ. მათ 18 მარტს გასცეს ბრძანება ჩამოეგლიჯათ ეროვნული შავ-წითელ-ოქროსფერი ალმები, რომლებიც ქალაქის შენობებზე გამოფენილი იყო 1848 წლის რევოლუციის 101 წლისთავის აღსანიშნავად.

სესიამ მიიღო საპროტესტო რეზოლუცია ჩრდილო ატლანტიკის პაქტის ტექსტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

დასასრულ გერმანიის სახალხო საბჭოს მეექვსე სესიამ განიხილა გერმანიის მესამე სახალხო კონგრესის მოწვევის საკითხი. ამ საკითხზე გამოსულმა გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ვილჰელმ პიკმა ხაზგასმით აღნიშნა ამჟამად გერმანიაში შექმნილი ვითარების სერიოზულობა. გერმანელი ხალხის ეროვნული არსებობისათვის, — თქვა პიკმა, — შექმნა რეალური საფრთხე. ამას ერთვის ახალი ომის საფრთხე. ვითარების სერიოზულობის გამო პიკი წინადადებას იძლევა უახლოეს დროში მოწვეულ იქნას სრულიად გერმანიის მესამე სახალხო კონგრესი. კონგრესის მოწვევის თარიღს გერმანიის სახალხო საბჭოს პრეზიდიუმი გამოაცხადებს უფრო გვიან, რაკი ითვალისწინებს დასავლეთ ზონებში კონგრესის მომზადების სიძნელეებს. ვილჰელმ პიკმა მოუწოდა გერმანიის მთელ დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარე ძალებს — სრულიად გერმანიის მესამე სახალხო კონგრესისათვის მზადების კამპანია გამოიყენონ სახალხო საბჭოს გადაწყვეტილებათა გასავრცელებლად, ომის გამჩაღებელთა პროვოკაციების სამხილებლად, მშვიდობისა და დემოკრატიის მომხრეთა რიგების დასარაზმავად.

გერმანიის სახალხო საბჭომ ერთხმად მოიწონა ვილჰელმ პიკის წინადადება.

ამით დამთავრდა გერმანიის სახალხო საბჭოს მეექვსე სესიის მუშაობა.

მორის ტორეზის გამოსვლა

პარიზი, 20 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომპარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი წინასაარჩევნო კამპანიის დამთავრებისას გუშინ ქალაქ ორლეანის 8-ათასიანი აუდიტორიის წინაშე გამოვიდა.

„ატლანტიკის პაქტის ტექსტისა და მისი ავტორების ბუნდოვანი კომენტარების გამოქვეყნებამ, — თქვა ტორეზმა, — მხოლოდ გააძლიერა შეშფოთება ხალხთა მასებისა, რომლებიც ახალი ომის საფრთხეს გრძნობენ. ვერავის ვერ მოატყუებენ მმართველებისა და მათი მომხრეების ფარისევლური და ყალბი ფრაზები „ულტრა-სალვთო კავშირის“ თავდაცვითი ხასიათის შესახებ, როგორც მას ერთმა დილის გაზეთმა უწოდა.

ატლანტიკის პაქტის სახით ხალხი ხედავს იმ ჭეშმარიტების დადასტურებას, რომელზეც ჩვენ 18 თვის განმავლობაში ვლაპარაკობდით: „მარშალის გეგმა“ ომის გეგმაა. გაიფანტა კეთილის საფარი და ინსცენირებული „ამერიკული გულუხვობის“ უკან ისახება ომის საშინელი სინამდვილე. საფრანგეთი ამერიკელ მილიარდერთა სამხედრო ეტლში შებმული აღმოჩნდა.

მაგრამ მაინც ამერიკული პარტიის, ომის პარტიის ადამიანები იშვიათი ცინიზმით განაგრძობენ მტკიცებას, რომ ატლანტიკის პაქტი არავის არ ემუქრება. ნამდვილად კი ერთი შეხედვით ბუნდოვანი ფორმულირების უკან ნათლად მოჩანს გარკვეული საფრთხე, მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წინააღმდეგ, მარშალიზებული ქვეყნების ხალხთა წინააღმდეგ, რომლებიც კოლონიზაციას განიცდიან.

ატლანტიკის პაქტის ინიციატორები ბედავენ იმის თქმას, რომ იგი მშვიდობას უზრუნველყოფს; ისინი აგრეთვე ამბობდნენ: „ჩაურევლობა“ და მიუნხენის კაპიტულაცია მშვიდობას უზრუნველყოფენო. მაგრამ ატლანტიკის პაქტი სავსებით ეწინააღმდეგება კოლექტიური უშიშროების პრინციპებს, რომლებიც გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, იგი სავსებით ეწინააღმდეგება იმ ვალდებულებებს, რომლებიც საბჭოთა კავშირთან დადებული ხელშეკრულებებით იკისრეს მთელმა რიგმა ქვეყნებმა, მათ შორის ჩვენმა ქვეყანამაც.

ატლანტიკის პაქტი მშვიდობის იარაღი არ არის და მისი დადება ჩვენი ქვეყნისათვის გამოიწვევს ისედაც მძიმე სამხედრო ხარჯების მნიშვნელოვან გადიდებას. ამრიგად, ქრება ჩვენი ქვეყნის აღმავლობის უკანასკნელი იმედი.

პაქტის მე-4 მუხლი გვიჩვენებს ახალი სამხედრო პაქტის მთელ მნიშვნელობას. იგი აწყობს უცხოეთის ჩარევას იმ ხალხთა წინააღმდეგ, რომელთაც ის ბრალი მიუძღვით, რომ არ დაემორჩილნენ დოლარის ნებას, ის ბრალი მიუძღვით, რომ არა სურთ ომი და ბრძოლას ეწევიან მშვიდობისათვის, ის ბრალი მიუძღვით, რომ მიისწრაფვიან პროგრესისა, სამართლიანობისა და თავისუფლებისაკენ.

საგარეო საქმეთა მინისტრმა გუშინ თქვა, რომ შეიძლება გაფიცვა არ განიხილოთ როგორც საფრთხე საფრანგეთის „პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის“, საფრანგეთისა, რომელსაც მარშალის გეგმამ უკვე წაართვა ეკონომიური და პოლიტიკური დამოუკიდებლობა. მაგრამ მშრომელებმა, რესპუბლიკელებმა გამოცდილებით იციან, რომ ჩვენი მმართველებისათვის საკმაო იქნება „მეამბოხის“ ეპითეტი მიაკერონ ნამდვილ პროფესიულ მოძრაობას, როგორიც მაღაროელთა გაფიცვა იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ჩარევა „გაამართლონ“. მათთვის საკმაო იქნება, როგორც 1948 წლის ოქტომბერში, ყალბად ამტკიცონ, რომ საქმე ეხება „გარედან ინსპირირებულ და მხარდაჭერილ“ მოძრაობას, რათა განაცხადონ, რომ არსებობს შეიარაღებული თავდასხმა, და აამუშაონ ატლანტიკის პაქტის მთელი სამხედრო მანქანა.

პაქტის მე-4 მუხლი, — განაგრძო ტორეზმა, — იმას მოწმობს, რომ ამერიკული პარტიის ადამიანებს, ყველა ყოფილ ვიშისტს, „მესამე ძალის“ წარმომადგენლებს, ნეოდეგოლელებს, კაპიტალისტებსა და მათს აგენტებს ყველაფერზე უფრო მშრომელთა მასებისა ეშინიათ. მათ ეშინიათ მუშათა კლასისა, ხალხისა, მათ ეშინიათ მშვიდობის მომხრეებისა, რესპუბლიკელებისა, პატრიოტებისა, ყველა იმათი, ვინც „მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლების“ ორგანიზაციის წევრებთან ერთად „უარს ამბობს აღიაროს, რომ ეს პაქტი სავალდებულოა საფრანგეთისათვის მის მიერ მიცემული სიტყვის გამო, და უარყოფს ახალ ომს“.

„ომის გამჩაღებლებს სურთ ჩვენი ხალხი მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენონ. ჩვენ მათ ვაფრთხილებთ, რომ ილუზიები არ შეიქმნან. სამხედრო პაქტზე ხელმოწერა, საბედნიეროდ, ომს კიდევ არ ნიშნავს. ომი გარდუვალი არ არის. ომი არ იქნება, თუ დემოკრატიისა და მშვიდობის მთელი ძალები საფრანგეთსა და მთელ მსოფლიოში მოახერხებენ გაერთიანებასა და მოქმედებას. ერთიანობითა და ბრძოლით ჩვენ ჩავფუშავთ ომების გეგმას; ერთიანობითა და ბრძოლით ჩვენ ვიხსნით მშვიდობას“.

ანტიფაშისტებს დევნიან ლონდონში ფაშისტთა დემონსტრაციისათვის ხელის შეშლის ცდის გამო

ლონდონი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 21 მარტს ლონდონის სასამართლოს შენობის წინ დააყენეს გაძლიერებული პოლიციის რაზმი. რაზმს უნდა გაეფანტა ხალხი, რომელიც ელოდა განაჩენის გამოტანას იმ პირთა საქმის გამო, რომლებმაც სცადეს ხელი შეეშალათ ლონდონში „უნიონისტური მოძრაობის“ (ინგლისელი ფაშისტები) მიერ 20 მარტს მოწყობილი დემონსტრაციისათვის.

სამართალში მიცემულ იქნა 21 კაცი და 2 ქალი, რომელთაც ბრალდებათ, რომ „პოლიცია შეურაცხყვეს“ და „არ დაემორჩილნენ“.

10 ბრალდებულს ფულადი ჯარიმა მიესაჯა, 11 კაცის საქმის გამოძიება გაგრძელდება. ორი საქმის გარჩევა გადაიდო.

ყველა ქვეყნის პროგრესული საზოგადოებრიობა მხარს უჭერს წინადადებას მშვიდობის მომხრეთა კონგრესის მოწვევის შესახებ

სულ ახალი და ახალი ორგანიზაციები უგზავნიან წერილს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის მოსამზადებელ კომიტეტს და გამოთქვამენ სურვილს — მონაწილეობა მიიღონ ამ კონგრესის მუშაობაში.

განცხადება მიღებულია: საფრანგეთის სოფლის მეურნეობის მუშათა პროფკავშირისაგან, უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოსაგან, რომელთა რიგებშიც გაერთიანებულია 1.600 ათასი წევრი; იუგოსლავიის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოსაგან; ქალთა ანტიფაშისტური ფრონტისა და სხვა ორგანიზაციებისაგან.

რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მსახიობები, მწერლები და ჟურნალისტები, სილეზიის (პოლონეთი) ახალგაზრდობა, ჩეხოსლოვაკიის გლეხობა მიესალმებიან მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის ინიციატივას.

ალბანეთის მასობრივი ორგანიზაციები, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებანი კრებებს მართავენ მთელ ალბანეთში. ამ კრებებზე მიღებულ რეზოლუციებში დაგმობილია ომის გამჩაღებელთა კამპანია და ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ალბანელი ხალხი სხვა ქვეყნების ხალხებთან ერთად მშვიდობის საგუშაგოზე დგას და მიესალმება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის ინიციატივას.

გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, რომ მშვიდობის დამცველ კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა ამერიკის კონგრესზე მიწვეულ ეჟენ კოტონს, აბატ ბულიესა და პოლ ელუარს დღემდე არ მიუღიათ ამერიკაში შესვლის ვიზა.

„მშვიდობის მომხრეთა — კულტურის მოღვაწეთა საფრანგეთის ეროვნულმა კომიტეტმა“ ამერიკის ელჩს საფრანგეთში წერილით მიმართა, რომელშიც გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ საფრანგეთის წარმომადგენელთა ვიზების მიცემა დაუგვიანეს, და მტკიცედ მოითხოვს ვიზების გაცემას. (საკდესი).

კანტონალური არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 21 მარტი. (საკდესი). კანტონალური არჩევნების პირველი ტურის შედეგთა შესახებ დღეს გამოქვეყნებული ცნობები მოწმობენ, რომ უფრო მტკიცედ კომუნისტური პარტიის გავლენა და რომ ეგრეთ წოდებული „მესამე ძალის“ პარტიებმა, უმთავრესად სოციალისტურმა პარტიამ და „სახალხო-რესპუბლიკურმა მოძრაობამ“ ხმები დაკარგეს.

პოლიტიკური მიმომხილველნი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ზევრმა კენჭისყრაში თავი შეიკავა. თავის შეკავება ზოგან 40 პროცენტს აღწევდა. ადგილების 50-მდე პროცენტი შეუვსებელი დარჩა და კენჭისყრა ხელახლა უნდა მოხდეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცნობებით, კენჭისყრის მონაწილე 7.178.615 კაციდან, კომუნისტური პარტიისა და მის მომხრე დაჯგუფებათა კანდიდატებს ხმა მისცა 1.689.764 კაცმა, რაც 23,54 პროცენტს შეადგენს. უნდა გავიხსენოთ, რომ წარსულ კანტონალურ არჩევნებში, რაც 1945 წელს მოხდა, კომპარტიამ პირველი ტურის შედეგად ხმების 21,2 პროცენტი მიიღო. როგორც ეს ციფრები ცხადყოფენ, მიუხედავად იმისა, რომ მემარჯვენე რეაქციული დაჯგუფებანი შეუთანხმდნენ „მესამე ძალის“ პარტიებს, და მიუხედავად არასამართლიანი საარჩევნო სისტემისა, კომუნისტური პარტიის გავლენა გაძლიერდა.

ამავე დროს მთავრობაში წარმოდგენილმა სოციალისტურმა პარტიამ ყველა ხმის 16,81 პროცენტი მიიღო (1945 წელს პირველი ტურის შედეგად სოციალისტურმა პარტიამ 23,6 პროცენტი მიიღო). მთავრობის მეორე პარტიამ — „სახალხო რესპუბლიკურმა მოძრაობამ“ ყველა ხმის 8,07 პროცენტი მიიღო (ნაცვლად 1945 წლის 12,4 პროცენტისა).

„მემარცხენე რესპუბლიკელთა გაერთიანებამ“, რომელიც აგრეთვე წარმოდგენილია მთავრობაში და რომელშიც შედიან რადიკალ-სოციალისტები და ეგრეთ წოდებული „წინააღმდეგობის დემოკრატიული და სოციალისტური კავშირი“, ყველა ხმის 11,12 პროცენტი მიიღო. (ნაცვლად 1945 წლის 14,1 პროცენტისა).

ეგრეთ წოდებულმა „დამოუკიდებელმა რადიკალებმა“ და „დამოუკიდებელმა მემარჯვენეებმა“ ხმების 11,91 პროცენტი შეაგროვეს.

დეგოლელთა „ფრანგი ხალხის გაერთიანებამ“ ხმების 17,33 პროცენტი შეაგროვა.

„ფრანგი ხალხის გაერთიანებას“ 1945 წლის კანტონალურ არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, რადგან უფრო გვიან შეიქმნა.

27 მარტს შედგება კანტონალური არჩევნების მეორე ტური.

პარიზი, 21 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკური ცნობების თანახმად, კანტონალური არჩევნების პირველი ტურის შედეგად არჩეულია 723 გენერალური მრჩეველი (1.503-დან). გენერალურ მრჩეველთა 785 ადგილი შეივსება კენჭისყრის მეორე ტურის შედეგად, რომელიც 27 მარტს მოხდება.

ცნობები კენჭისყრის პირველი ტურის შედეგად მიღებული 723 ადგილის პოლიტიკურ პარტიებს შორის განაწილების შესახებ ცხადყოფენ გამოყენებული საარჩევნო სისტემის არასამართლიან რეაქციულ ხასიათს; ეს სისტემა საშუალებას აძლევს იმ პარტიებს, რომელთაც ამომრჩეველთა ფართო მასებში უმნიშვნელო გავლენა აქვთ, ხელთ იგდონ ადგილების მეტი წილი გენერალურ საბჭოებში. მაშინ, როცა რადიკალსოციალისტთა პარტიამ, რომელმაც ხმების 11,12 პროცენტი შეაგროვა, 138 მანდატი მიიღო, ხოლო „დამოუკიდებელმა რესპუბლიკელებმა“ და „დამოუკიდებელმა რადიკალებმა“, რომლებმაც ხმების 11,91 პროცენტი შეაგროვეს, 199 მანდატი მიიღეს, კომუნისტურმა პარტიამ, რომელმაც ხმების 23,54 პროცენტი შეაგროვა, პირველი ტურის შედეგად სულ 17 მანდატი მიიღო მის მომხრე დაჯგუფებებთან ერთად; სოციალისტურმა პარტიამ, რომელმაც ხმების 16,91 პროცენტი მიიღო, 108 ადგილი დაიკავა; „სახალხო-რესპუბლიკურმა მოძრაობამ“ 36 ადგილი მიიღო, თუმცა სულ ხმების 8,07 პროცენტი შეაგროვა. ყველაზე მეტი ადგილი დაიკავა დეგოლელთა „ფრანგი ხალხის გაერთიანებამ“, რომლის კანდიდატებიც ერთსულოვნად გაჰყავდა ყველა მემარჯვენე და მთავრობის პარტიას, რათა ხელი შეეშალათ კომუნისტური პარტიის კანდიდატებისათვის. „ფრანგი ხალხის გაერთიანებამ“ 170 ადგილი მიიღო გენერალურ საბჭოებში.

ფაშისტთა დემონსტრაცია ლონდონში

ლონდონი, 21 მარტი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 20 მარტს ლონდონის ისტ-ენდის რაიონში გაიმართა ეგრეთ წოდებული „უნიონისტური მოძრაობის“ 150 წევრის დემონსტრაცია. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობს ინგლისელი ფაშისტი მოსლი. სააგენტოს ცნობის მიხედვით, ცხენოსანი პოლიცია მორჩილად უკაფავდა გზას ფაშისტ დემონსტრანტებს.

ფაშისტების კოლონას წინ მიუძღოდნენ, აგრეთვე უკან მიჰყვებოდნენ მანქანებში მსხდომი პოლიციელები. აქეთ-იქით ედგნენ ქვეითი პოლიციელები. დემონსტრანტებს ახლდა 12 ცხენოსანი და 200 ქვეითი პოლიციელი. ქალაქის ტრანსპორტის მიმოსვლა შეწყდა.

ათასობით ანტიფაშისტმა გაილაშქრა ფაშისტების თავხედური გამოხდომის წინააღმდეგ. პოლიციამ დააპატიმრა 18 ანტიფაშისტი, მათ შორის რამდენიმე ქალი.

გაზეთ „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპონდენტი წერს, რომ მიტინგის დროს პოლიციელები იცავდნენ ფაშისტ ორატორებს. ორატორები ტრიბუნისაკენ მიდიოდნენ ოთხ მწკრივად მდგარი ცხენოსანი და ქვეითი პოლიციელების მფარველობით.

თეატრებში

თეატრი	თარიღი	წარმოდგენა	დასაწყისი
ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის	23-III	„ლაშქარა“	6 აბ. 10 წარმ.
	24-III	„ოტელო“	9 აბ. 10 წარმ.
რუსთაველის სახელობის	23-III	„სამშობლო“	10 აბ. 7 წარმ.
	24-III	„პირველი ნაბიჯი“	აბონ. გარეშე
მარჯანიშვილის სახელობის	23-III	„გულსუნდა“	6 აბ. 7 წარმ.
	24-III	„გამახარე“	10 აბ. 7 წარმ.
მეროიას სახ. კულტურის სახლი (მუსიკალური კომედიის თეატრის წარმ.)	23-III	„სამთა სიყვარული“	აბონ. გარეშე
მუსიკალური კომედიის	24-III	„სილვა“	8 აბ. 8 წარ.

დღეს კინოთეატრებში

კინოთეატრი	ფილმი
რუსთაველის სახ. რუსთაველის პროსპ. 7, ტელეფონი 3-09-50.	„შეხვედრა ელბაზე“ დასაწყ. 4, 6, 8 და 10 ს.
ამირანი, პლეხანოვის პროსპ. 125, ტელეფონი 3-48-61.	„დამურა“ დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8 და 10 ს.
ოქტომბერი, პლეხანოვის პროსპ. 135, ტელეფონი 3-39-84.	„შეხვედრა ელბაზე“ დასაწყ. 3-45, 5-45, 7-45 და 9-45 ს.
„კომკავშირელი“ პლეხანოვის პროსპ. 93, ტელეფონი 3-29-61	„შეხვედრა ელბაზე“ დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8 და 10 ს.
სპარტაკი, რუსთაველის პროსპ. 23, ტელეფონი 3-08-27.	„შეხვედრა ელბაზე“ დასაწყ. 12, 2, 4, 6, 8 და 10 ს.
26 კომისრის სახ. მაუმიანის მოედანი, 1, ტელეფონი 3-43-09.	„შეხვედრა ელბაზე“ დასაწყ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9 და 10 ს.

საქართველოს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამმართველოს თბილისის აეროპორტი

ყოველდღიურად წარმოებს ჩქარი სამგზავრო კომფორტაბელური და მაგარი თვითმფრინავების რეგულარული რეისები მოსკოვის, ქუთაისის, სოხუმის, ადლერის, კრასნოდარის, როსტოვის, ოდესის, სიმფეროპოლის, ახალქალაქისა და წნორის მიმართულებით.

თბილის-მოსკოვის სამგზავრო რეისს სჭირდება 6 საათი.

ჩქარ თვითმფრინავებზე მგზავრთათვის არის ბუფეტი.

ყოველდღე 8-დან 22 საათამდე წინასწარ იყიდება ბილეთები ყველა მიმართულებით. მოწყობილია ბილეთების შინ მიტანა. სამხედრო მოსამსახურენი თვითმფრინავის ბილეთის ყიდვისას წარადგენენ რკინიგზით მგზავრობის სამხედრო მოთხოვნებს და დამატებით იხდიან ავიატარიფის განსხვავებას. სახელმწიფო, სამეურნეო ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობებისაგან თვითმფრინავით გადასაზიდავად ტვირთი მიიღება განუსაზღვრელი ოდენობით. ტვირთი მიიღება ყველა აღნიშნული მიმართულებით გადასაგზავნად. წარმოებს ხელშეკრულებათა დადება ტვირთის მიმოზიდვაზე.

ცნობების მიღება შეიძლება თბილისის აეროპორტის საქალაქო სააგენტოში. მისამართი: რუსთაველის პროსპექტი № 22, ტელეფონი № 3-59-66 და აეროპორტის მიმოზიდვის სამსახურში, მისამართი: თბილისის აეროპორტი, ტელეფონი № 3-73-61 და 3-10-21.

ამ ბოლო დრომდე დედაქალაქის იმ უბნის მოსახლეობისათვის, სადაც ძირითადად ტრამვაისა და ტროლეიბუსების სამმართველოს საწარმოთა მუშები ცხოვრობენ, არ იყო კეთილმოწყობილი მაღაზია და მომხმარებლებს მარილისა და ძეხვეულის შესაძენადაც კი ქალაქის ცენტრში უხდებოდათ წასვლა. აღნიშნული გარემოება მხედველობაში მიიღო თბილკვებვაჭრობის ხელმძღვანელობამ და კაპიტალური რემონტის შემდეგ პლეხანოვის პროსპექტზე ტრამვაელთა უბანში ამ დღეებში გახსნა მაღაზია № 92. მაღაზიას აქვს 4 სექცია: გასტრონომიული, ბაკალეა, საკონდიტრო და ცალობით გასაყიდი საქონლისა. საქართველოს სსრ კვების მრეწველობის საწარმოთა ნაწარმის გარდა, აქ ნახავთ მოსკოვის, ლენინგრადის, რიგის, ლვოვისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამრეწველო ქალაქების საწარმოებში დამზადებულ მრავალნაირი ასორტიმენტის საქონელს. მაღაზია მომხმარებლებს ემსახურება დილის 9-დან ღამის 11 საათამდე.

სურათზე: თბილკვებვაჭრობის მაღაზია № 92 (შიგნითა ხედი) კაპიტალური რემონტის შემდეგ. გამყიდველები ქ. ლონდაძე და გ. სიმონიანი.

ფოტო ვ. გინზბურგისა

მზადება ა. ს. პუშკინის იუბილესათვის

ა. ს. პუშკინის დაბადების 150 წლისთავისათვის ქართულ ენაზე გამოცემული იქნება დიდი რუსი პოეტის ნაწარმოებთა ოთხტომეული.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პოეზიის სექცია აწყობს პუშკინის ლექსების იმ ახალ თარგმანთა კითხვა-განხილვას, რომელნიც შეტანილი იქნებიან ოთხტომეულში.

ხუთშაბათს 24 მარტს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) შესდგება პირველი საღამო. არტისტი დ. ძიგუა წაიკითხავს ი. წულუკიძის მიერ თარგმნილ პუშკინის 40 ლირიკულ ლექსს. თარგმანის განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მწერლები, კრიტიკოსები, მხატვრული ლიტერატურის მთარგმნელები და მასწავლებლები.

შესვლა თავისუფალია.

„ჟურნალი მნათობი“

გამოვიდა ჟურნალ „მნათობის“ პირველი ნომერი.

ჟურნალში მოთავსებულია შემდეგი მასალები: მოწინავე წერილი — ვ. ი. ლენინი; საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ანგარიში — ამხანაგ კ. ნ. ჩარკვიანის მოხსენება 1949 წლის 25 იანვარს; ალექსანდრე აბაშელი — „ლენინის დროშით“ (ლექსი); ნიკოლოზ ნადირაძე — „ლენინი ოქტომბერში“ (ლექსი); ვარლამ ჟღენტი? ჟურული — „სიმღერა დიდ ლენინზე“ (ლექსი); აკაკი თოფურია — „ლენინი ქოხში“ (ლექსი); დავით ბაქრაძე — „გმირთა სისხლით“ (გაგრძელება); ვახტანგ გორგანელი — „ახალწლის ღამე“ (ლექსი); ილო მოსაშვილი — „ჩაძირული ქვები“ (პიესა); მარიამ გარიყული — „ტყიბული“ (ნარკვევი); ბონდო კეშელავა — „მეაბრეშუმე ცირა“ (ლექსი); იაკინთე ლისაშვილი — „ახალი მესხეთი“ (ნარკვევი); ოთარ მამფორია — „მოხუცი მებაღე“ (ლექსი). წერილები: ვლადიმერ ჰიაურელი — გამარჯვებულთა ყრილობა; ლავროსი კალანდაძე — ხელოვნების ზოგიერთი საკითხის შესახებ; კონსტანტინე გამსახურდია — სულხან-საბა ორბელიანი; ი. ენაკოლოფაშვილი — ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „ომი საქართველოს თავად-აზნაურ-გლეხთა“-ს დაწერის ისტორია. ბიბლიოგრაფია: მიხეილ კაკაბაძე — ნ. ოსტროვსკი „როგორ იწრთობოდა ფოლადი“; ი. ცინცაძე — ვლ. ტატიშვილი,—„ქართველები მოსკოვში“.

გერგეტის მყინვარზე

15 წელია ყაზბეგის მაღალმთიანი მეტეოროლოგიური სადგურის კოლექტივი ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას ეწევა. სადგური მდებარეობს გერგეტის მყინვარზე, ზღვის დონიდან 3.360 მეტრ სიმაღლეზე. 1933 წელს აქ მოვიდნენ პირველი მოზამთრეები, რომელთაც ძნელ პირობებში უხდებოდათ მუშაობა. სადგურისათვის აგებული პატარა ხის შენობა ვერ უძლებდა ძლიერ ქარს და ხშირად მას სპეციალური ტროსებით ამაგრებდნენ ყინულზე, ცოტა იყო დაკვირვებისათვის საჭირო ხელსაწყოებიც.

რამდენიმე წლის წინათ აქ აგებული იქნა ორსართულიანი შენობა 23 ოთახით. შენობაში მოთავსებულია მოზამთრეთა საცხოვრებელი ბინები, დაკვირვებათა ოთახი, საწყობები, სასადილო და წითელი კუთხე. ზამთარში დიდი თოვლისა და ზვავების გამო სადგურთან მისასვლელი ბილიკები გაუვალია, მაგრამ მოზამთრეებს ყოველდღიური კავშირი აქვთ დედაქალაქთან. მათ აქვთ ბევრი პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა, სწავლობენ ბოლშევიკური პარტიის გმირულ ისტორიას. გამოცდილი მოზამთრეები ი. ბართიშვილი, გ. სუჯიაშვილი, ვ. ხუციშვილი და სხვები მხნედ გრძნობენ თავს და საუკეთესოდ მუშაობენ. მეტეოროლოგიური სადგური საბჭოთა კავშირის საუკეთესოდ მომუშავე მეტეოროლოგიურ სადგურთა რიცხვში ჩადგა.

მარადი ყინულებისა და ქარიშხლის სამეფოში — შორეულ გერგეტის მყინვარზე რვა საბჭოთა ადამიანი პატიოსნად ასრულებს თავის საპატიო მოვალეობას სამშობლოს წინაშე. (საქ. კორ.).

ფიზკულტურის მუშაკთა მოსამზადებელი სემინარი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა ფიზკულტურის რაიონული კომიტეტების მუშაკთა გადასამზადებლად მოაწყო ორკვირიანი სემინარი 50 კაცისათვის. სემინარის მეცადინეობა წარმოებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის მიერ დამტკიცებული პროგრამით, რომელიც ითვალისწინებს როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ საკითხებს. სემინარის მსმენელები დაწვრილებით ეცნობიან აგრეთვე საორგანიზაციო საკითხებს და ქართული ნაციონალური სპორტის სახეებს.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

მეუღლე მაიკო, შვილები შალვა, ქაიხოსრო და დავით, რძლები მარიამ, ნინო, ოლია, შვილიშვილები ვაჟა, მანანა, ბიჭიკო იუწყებიან **გიორგი დიმიტრის-ძე ჰუმბურიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III ხარაგოულში.

შვილი მარიამ, სიძე ლ. წერეთელი იუწყებიან **ტატიანა გრიგოლის ასულ გევონდიანის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-III, 7½ ს. გამოსვენება 24-III, 5½ ს. საბჭოს, 34.

მეუღლე იასონ, შვილები ალიოშა, შოთა, ციცინო, რძლები ვერა, მარგო, შვილიშვილები თემურ და ვაჟა ფხალაძეები იუწყებიან **ნატალია ფხალაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-III ჭიათურაში.

შვილები მარგარიტა, თინა და ნუნუ კალანდარიშვილები იუწყებიან **ფაცია ბათლომეს ასულ ჰეიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23, 24, 25, 26-III, 8 ს. გამოსვენება 27-III, 2 ს. ვერცხლის, 10.

თბილისის ნავთის ბაზის მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ მ. უგულავას მისი დედის **ფედოსიას** გარდაცვალების გამო.

დედა ნინო, და მაღლენა, სიძე გრიგოლ გიორგაძე, დისწული იური, ბიძა გიორგი გოგიბერიძე ოჯახით იუწყებიან **გაიოზ ვასილის-ძე ჩიგოგიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III, ახალშენში (ჩოხატაურის რაიონი).

შვილები თინა, ლუბა, თამარ რუხაძეები, სიძე გიორგი ძამსაშვილი, მული ანა ღალანიძე, შვილიშვილები ცირა, ლერი და ფოთოლა იუწყებიან **პელაგია ისაკის ასულ რუხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III ს. ღანირქეიტორში.

შვილები თამარ, ოთარ და ვახტანგ, ძმები გიორგი და ამბაკო, და ქსენია ოჯახებით იუწყებიან **ივანე პეპუს-ძე ბართაიას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 27-III ქ. ქუთაისში, წერეთლის, 46.

ძმა ტიხონ, რძალი ელენე ჰეიშვილები, შუქურა და დავით გიორგაძეები შვილით მაყვალათი იუწყებიან **ფაცია ბათლომეს ასულ ჰეიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 27-III, ვერცხლის, 10.

მარიამ ჯაჯანაშვილი, ემა, ნიკოლოზ, ბიძინა და ბარბარე ინდუაშვილები იუწყებიან რძლის **ევგენია ლავრენტის ასულ ჯაჯანაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-III, 7 ს. გამოსვენება 24-III, კალანდაძის, 32.

ნიკოლოზ და ნინო მშველიძეები, ანა და ივანე თაქთაქიშვილები, ბარბარე და არისტარხე ნაგლისები ოჯახებით იუწყებიან სიძის **აბრამ ივანეს-ძე ხემიონოვის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-III, 8 ს. გამოსვენება 24-III, 6 ს. ფიგნერის, 1.

მეუღლე ნინო, შვილები რუსუდან და ავთანდილ, და ლუბა, ძმები სილიბისტრო და ნიკოლოზ მენაბდეები ოჯახებით იუწყებიან **ვიქტორ ზურაბის-ძე მენაბდის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 25, 26-III, 7½ ს. გამოსვენება 27-III, 5 ს. ფოთის, 37.

ქალაქის I სავადმყოფოს აფთიაქის თანამშრომლები იუწყებიან მიხეილ არველაძის მამის **იოსების** გარდაცვალებას.

ივანე და თამარ ასათიანები, გიგი და ცუცა ბახტაძეები ოჯახებით იუწყებიან ლევან და მარო წერეთლის დედის **ტატიანა გევონდიანის** გარდაცვალებას. გამოსვენება 24-III, 6 ს. საბჭოს, 34.

მამა მოსე, მეუღლე თამარ, შვილები ეთერ, ნანული, ელგუჯა, ძმა ისაკი, დები ქეთო, თამარ, მარგალიტა, ანიკო ოჯახებით იუწყებიან **კალე მეფარიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 26-III, 5 ს. ს. წითელხევში (მაიაკოვსკის რაიონი).

შვილი მარუსია, სიძე შოთა, შვილიშვილი მანანა მეძმარიაშვილები იუწყებიან **ხარა ივანეს ასულ გეგუჩაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 23-III, 7½ ს. გამოსვენება 24-III, 5½ ს. ქობულეთის, 21-ა.

თბილისის სავაჭრო-კულინარული სკოლის პედპერსონალი თანაგრძნობას უცხადებს მ. უგულავას მისი დედის **ფედოსიას** გარდაცვალების გამო.

ადამ და მარგო ჩიგილაშვილები, ვანო და ელიზა არუთინოვები თანაგრძნობას უცხადებენ ვანო და აბრია ფეიქრიშვილებს მათი დედის **კეკეს** გარდაცვალების გამო.

ა. ჩიგილაშვილი, დ. მახარაშვილი, ს. ქაჩლიშვილი, მ. ცოფურიშვილი, ი. მაისურაძე, ა. დავითაშვილი, ვ. საძაგლიშვილი, ა. ზარნაძე, რ. მჭედლიშვილი, მ. მენაბდიშვილი, გ. ოქროშიძე, ა. ქავთარაძე, ა. ფეიქრიშვილი, შ. ომსარაშვილი, ვ. სიხარულიძე, შ. მათიაშვილი, ი. კირვალიძე, ი. ნასყიდაშვილი თანაგრძნობას უცხადებენ ი. ფეიქრიშვილს მისი დედის **კეკეს** გარდაცვალების გამო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნისი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო— 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების — 3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტირაჟი 118.000 უე 00730